



კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის
მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

<p>1931 წლის იანვრის 15.</p>	<p>№ 2 განყოფილება ბირველი</p>	<p>ა/კსფსრ სახალ. კომისართა საბჭოს საქმეთა მმართვე- ლობის მიერ გამოცემული.</p>
----------------------------------	------------------------------------	--

შ ი ნ ა ა რ ს ი:

დადგენილებანი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

- მუხ. 12. „უმადღესი სასწავლებლების კურსდამთავრებულ პირთა სამუშაოზე მოთავსების წესის თაობაზე“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. აგვისტოს 5-ის დადგენილების გაუქმების შესახებ.
- „ 13. სარაიონო, საქალაქო და სასოფლო ბიუჯეტებს შორის შემოსული ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის განაწილების შესახებ.
- „ 14. სპეციალური საგზაო ფონდების შესახებ.
- „ 15. „ა/კსფსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარ სამმართველოსათვის სავალდებულო დადგენილებათა და ინსტრუქციათა გამოცემისა და მათი დარღვევის გამო აღმინისტრაციული წესით გადასახდელის დადების უფლების მინიჭების თაობაზე“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. ივლისის 22-ის დადგენილების შეცვლის და დამატების შესახებ.
- „ 16. „შრომის საგზაო ბეგარის დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების თაობაზე“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. ივლისის 3-ის დადგენილების მე-2 მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ.
- „ 17. შრომის საგზაო ბეგარის დებულების ზოგიერთი მუხლის დამატების და შეცვლის შესახებ.

დადგენილებანი ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

- „ 18. სახელმწიფო ტრესტების მოგების განაწილებისა და ამ მოგების ანარიცხების სახელმწიფო შემოსავალში შეტანის წესის შესახებ.

- „ 19. „ა/კსფსრ მებამბეობის განვითარების 1930-31 წლის საკონტროლო ციფრების თაობაზე“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. სექტემბრის 5-ის დადგენილების მე-III კარის მე-8 მუხლის გაუქმების შესახებ.
- „ 20. „ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტის დებულების“ მე-10 მუხლის დამატების შესახებ.
- „ 21. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით კულაკურ მეურნეობათა ინდივიდუალური წესით დაბეგვრის ღონისძიებათა შესახებ“ („1930-31 ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ძირითად დებულებათა თაობაზე“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების მე-11 მუხლის შეცვლის შესახებ“—ა/კსფსრ კან. კრ. 1930 წ. მე-15 №-ი, მუხ. 163).
- „ 22. 1931 წ. საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის გეგმის შესახებ.
- „ 23. ა/კსფსრ-ში ცენტრიანი მრეწველობისათვის საკონტროლო დაკვირვებათა მოწყობის შესახებ.
- „ 24. 1931 წლისთვის თევზის ჭერის გეგმისა და ა/კსფსრ-ში საგაზაფხულო თევზთასვლის ჩატარების ღონისძიებათა შესახებ.
- „ 25. სოფლად სამეურნეო და კულტურული მშენებლობისათვის ერთდროული გამოსაღების დაწესების შესახებ.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

12. „უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულ პირთა სამუშაოზე მოთავსების წესის თაობაზე“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. აგვისტოს 5-ის დადგენილების გაუქმების შესახებ.

„უმაღლესი სასწავლებლებისა, ტექნიკუმებისა და მუშათა ფაკულტეტების მოსწავლეთა მატერიალური უზრუნველყოფისა და უმაღლეს სასწავლებლებისა და ტექნიკუმების კურსდამთავრებულთა სამუშაოზე წარგზავნის წესის შესახებ“ გამოცემულ სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. სექტემბრის 16-ის დადგენილებასთან (სსრკ კან. კრ. 1930 წ. მე-17 №-ი, მუხ. 488) და სსრკ-ის შრომის სახალხო კომისარიატის 1930 წ. ოქტომბრის 4-ის თარიღისა და 303 №-ის ინტრუქციასთან (სსრკ-ის შრომ. სახ. კ-ტის იხვეს. 1930 წ. 28 №-ი) დაკავშირებით—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. აგვისტოს 5-ის დადგენილება „უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულ პირთა

სამუშაოზე მოთავეების წესის შესახებ“ (ა/კფსრ კან. კრ. 1929 წ. მე-20 №-ი, მუხ. 184).

2. წინადადება მიეცეს ა/კფსრ შრომის სახალხო კომისარიატს გამოსცეს იმ თავისი დადგენილებების ნუსხა, რომელთაც დაკარგეს ძალა ამა დადგენილების გამოცემის გამო.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ა/კფსრ სახალხო კომისართა საბჭოს.
თავმჯდომარის მოადგილე **მ. ეგიაზარიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. დოლიძე.**

1931 წ. იანვრის 6.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს მე-14 №-ში 1931 წ. იანვრის 14-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

13. სარაიონო, საქალაქო და სასოფლო ბიუჯეტებს შორის შემოსული ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის განაწილების შესახებ.

ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დებულების 90 მუხლის შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1930 წ. 49 №-ი, მუხ. 512)—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

დამყარებულ იქნეს სარაიონო, საქალაქო და სასოფლო ბიუჯეტებს შორის შემოსული ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის განაწილების შემდეგი წესი:

1. უწყებულო სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე შემოსული ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის 75%-ი მიიქცევა უშუალოდ სასოფლო ბიუჯეტში, ხოლო დანარჩენი 25%-ი ჩაირიცხება სარაიონო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში.

შენიშვნა. უკეთეს ესა თუ ის სოფელ-ადგილი შეერთებულ იქნა დამოუკიდებელ საადმინისტრაციო-სამეურნეო ერთეულად გამოყოფილ ქა-

ლაქთან, შემოსული ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი, გარდა 75⁰/₆-ისა, რაც უშუალოდ სასოფლო ბიუჯეტში მიიქცევა, ჩაირიცხება საქალაქო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში.

2. სარაიონო ბიუჯეტში გასატარებელი (1-ლი მუხლის შენიშვნაში აღნიშნულ შემთხვევაში—დამოუკიდებელ ერთეულად გამოყოფილი ქალაქის ბიუჯეტით გასატარებელი) შემოსული ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან ნაწილი გადაირიცხება მოწესრიგების ფონდში მცირეძალოვან სასოფლო ბიუჯეტების განსამტკიცებლად. ამ ნაწილის რაოდენობას თვითეული რაიონისათვის განსაზღვრავს ა/კსფსრ შედგენილობაში შემაჯალი სათანადო რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო.

3. დადგენილება ესე შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ 1930 წლის ოქტომბრის 1-დან.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კახიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჯუღელი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. დოლიძე.**

1931 წ. იანვრის 6.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს მე-15 №-ში 1931 იანვრის 15-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

14. საეციალური საგზაო ფონდების შესახებ.

„საგზაო მეურნეობის დაფინანსების წესის და საგზაო-სამშენებლო კონტორების მოწყობის შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. ნოემბრის 3-ის დადგენილების თანახმად (სსრკ კან. კრ. 1930 წ. 55 №-ი, მუხ. 579) ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I

ა/კსფსრ-ში გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საგზაო ნაგებობების მშენებლობისა, აღდგენისა, რემონტისა და მოვლა-შენახვის დაფინანსებისათვის 1931 წლიდან მოწყობის სპეციალური საგზაო ფონდები:

ა) ამიერკავკასიისა, ბ) ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკებისა, გ) ავტონომიური რესპუბლიკების და ოლქებისა და დ) ადგილობრივი (სარაიონო და სასოფლო) ფონდები.

2. ამიერკავკასიის საგზაო ფონდი შესდგება:

ა) ა/კსფსრ სახელმწიფო ბიუჯეტით გადაღებული ყოველწლიური ასსიგნებისაგან;

ბ) საერთო-საკავშირო საგზაო ფონდიდან საერთო-საკავშირო მნიშვნელობის გზების კაპიტალური მშენებლობისა, მიმდინარე რემონტისა და მოვლა-შენახვისათვის გადაღებული მიზნობრივი ასსიგნებისაგან;

გ) საერთო-საკავშირო საგზაო ფონდიდან რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების კაპიტალური მშენებლობის გასაძლიერებლად გადაღებული მიზნობრივი ასსიგნებისაგან.

3. ამიერკავკასიის საგზაო ფონდი დანიშნულია:

ა) იმ საერთო-საკავშირო მნიშვნელობის გზებისა და საგზაო ნაგებობების კაპიტალური მშენებლობისა, რემონტისა და მოვლა-შენახვის ხარჯებისათვის, რაც, „გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარი საშარათველოს დებულების“ მე-5 მუხლის „ვ“ პუნქტის წესისამებრ (ა/კსფსრ კან. კრ. 1929 წ. მე-8 №-ი, მუხ. 70), გადაღებულია ამ სამმართველოს უშუალო გამგებლობაში;

ბ) ურელსო გზებისა და მათი ხელოვნური ნაგებობების გამოსაკვლევად და პროექტების შესადგენად საჭირო სამუშაოების წარმოებისათვის;

გ) ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების საგზაო ფონდებში საერთო-საკავშირო მნიშვნელობის გზებისა და საგზაო ნაგებობების კაპიტალური მშენებლობისა, მიმდინარე რემონტისა და მოვლა-შენახვისათვის მიზნობრივი ასსიგნების გადასადებად;

დ) ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების საგზაო ფონდებში რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების კაპიტალური მშენებლობის გასაძლიერებლად მიზნობრივი ასსიგნების გადადებისათვის.

4. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების საგზაო ფონდები შესდგება:

ა) ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტით გადაღებული ყოველწლიური ასსიგნებისაგან;

ბ) ამიერკავკასიის საგზაო ფონდიდან, საერთო-საკავშირო მნიშვნელობის გზების კაპიტალური მშენებლობისა, მიმდინარე რემონტისა და მოვლა-შენახვისათვის, გადაღებული მიზნობრივი ასსიგნებისაგან;

გ) ამიერკავკასიის საგზაო ფონდიდან, რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების კაპიტალური მშენებლობის გასაძლიერებლად, გადაღებული მიზნობრივი ასსიგნებისაგან.

5. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების საგზაო ფონდები დანიშნულია:

ა) საერთო-საკავშირო მნიშვნელობის გზების კაპიტალური მშენებლობისა, მიმდინარე რემონტისა და მოვლა-შენახვის ხარჯებისათვის;

ბ) რესპუბლიკანური მნიშვნელობის გზების კაპიტალური მშენებლობისა, რემონტისა და მოვლა-შენახვის ხარჯებისათვის;

გ) ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების საგზაო ფონდებში მიზნობრივი ასსიგნების გადასადებლად ისეთი რაოდენობით, რაც ელირება მათ ტერიტორიაზე მდებარე საერთო-საკავშირო და რესპუბლიკანური მნიშვნელობის გზების მიმდინარე რემონტი და მოვლა-შენახვა;

დ) ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქებისა და ადგილობრივ საგზაო ფონდებში მიზნობრივი ასსიგნების გადასადებლად ადგილობრივი მნიშვნელობის გზების კაპიტალური მშენებლობის გაძლიერებისა და მიმდინარე რემონტისათვის.

6. ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების საგზაო ფონდები შესდგება:

ა) ამ რესპუბლიკებისა და ოლქების ბიუჯეტებით გადაღებული ყოველწლიური ასსიგნებისაგან;

ბ) რესპუბლიკანური საგზაო ფონდებიდან გადაღებული მიზნობრივი ასსიგნებისაგან (მუხ. 5) ისეთი რაოდენობით, რაც ელირება მათ ტერიტორიაზე მდებარე საერთო-საკავშირო და რესპუბლიკანური მშენებლობის გზების მიმდინარე რემონტი და მოვლა-შენახვა;

გ) რესპუბლიკანური საგზაო ფონდებიდან, ადგილობრივი მნიშვნელობის გზებისა და საგზაო ნაგებობების კაპიტალური მშენებლობის გაძლიერებისა და მიმდინარე რემონტისათვის, გადაღებული მიზნობრივი ასსიგნებისაგან.

7. ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების საგზაო ფონდები დანიშნულია:

ა) საერთო-საკავშირო და რესპუბლიკანური მნიშვნელობის გზებისა და საგზაო ნაგებობების მიმდინარე რემონტისათვის;

ბ) სათანადო მნიშვნელობის გზების კაპიტალური მშენებლობისა, რემონტისა და მოვლა-შენახვის ხარჯებისათვის;

გ) სარაიონო მნიშვნელობის გზების კაპიტალური მშენებლობის გაძლიერებისა, რემონტისა და მოვლა-შენახვისათვის.

8. სარაიონო საგზაო ფონდები შესდგება:

ა) სარაიონო ბიუჯეტებით გადაღებული ყოველწლიური ასსიგნებისაგან;

ბ) რესპუბლიკანური საგზაო ფონდებიდან (ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქებში—ამ რესპუბლიკებისა და ოლქების საგზაო ფონდებიდან) ადგილობრივი მნიშვნელობის გზების კაპიტალური მშენებლობის გაძლიერებისა, რემონტისა და მოვლა-შენახვისათვის გადაღებული მიზნობრივი ასსიგნებისაგან.

შენიშვნა. ამის გარდა, იმ ადგილების სარაიონო საგზაო ფონდებში, სადაც რაიონის შედგენილობაში შემავალ სასოფლო საბჭოებს დამოუკიდებელი ადგილობრივი ბიუჯეტი არ აქვთ, შევია, შრომის საგზაო ბეგარის ნატურალური ფორმის სანაცვლოდ, ფულადი შენატანი.

9. სასოფლო საგზაო ფონდები შესდგება იმ ადგილებში, სადაც სასოფლო საბჭოებს აქვთ დამოუკიდებელი ადგილობრივი ბიუჯეტი: ა) სასოფლო ბიუჯეტით გადადებული ყოველწლიური ასიგნებისაგან; ბ) საგზაო მშენებლობისათვის თვითდაბეგარის წესით შეკრეფილი სახსარისგან; გ) სარაიონო საგზაო ფონდებიდან საგზაო მშენებლობისათვის გადადებული მიზნობრივი ასიგნებისაგან; დ) შრომის საგზაო ბეგარის ნატურალური ფორმის სანაცვლოდ შემოსული ფულადი შენატანებისაგან.

10. ადგილობრივი საგზაო ფონდები (მუხ. 8 და 9) დანიშნულია:

ა) იმ გზების მშენებლობისა, რემონტისა და მოვლა-შენახვისათვის, რაც სათანადო ადგილობრივი ორგანოების გამგებლობაშია და ბ) შრომის საგზაო ბეგარის ჩატარებისათვის.

შენიშვნა. იმ ადგილებისათვის, სადაც მოწყობილია სასოფლო საგზაო ფონდები, სარაიონო საგზაო ფონდები დანიშნულია აგრეთვე სასოფლო საგზაო ფონდებში დოტაციის გადასარიცხად სასოფლო საგზაო მშენებლობისათვის.

11. ზემდგომი საგზაო ფონდების სახსარიდან ქვემდგომ საგზაო ფონდებში მიზნობრივი ასიგნების გადადება მოხდება სათანადო წესით დამტკიცებული საწარმოო-საფინანსო გეგმის შესაბამისად.

12. საგამოკვლეო სამუშაოებისა და კაპიტალური მშენებლობის რაც შეიძლება უკეთესად განხორციელებისათვის შეიძლება ქვემდგომი ფონდიდან სახსარის მიზნობრივი გადაცემა ზემდგომ ფონდში.

II

ბ. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს — ა/კსფსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარ სამმართველოსთან ერთად:

ა) შეიმუშაოს და წარუდგინოს, ორი დეკადის ვადაზე, დასამტკიცებლად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს პროექტი დებულებისა ამა დადგენილების მიხედვით მოსაწყობი სპეციალური საგზაო ფონდების შექმნისა, აღნუსხვისა, შენახვისა და ხარჯვის წესის შესახებ;

ბ) შეიმუშაოს საკითხი ა/კსფსრ-ში საგზაო სამშენებლო კონტორების მოწყობისა, მათი ამოცანებისა, ფუნქციებისა და დაფინანსების წესის შესახებ და სათანადო დადგენილების პროექტი წარუდგინოს განსახილველად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს;

გ) ერთი თვის ვადაზე წარმოადგინოს პროექტი დადგენილებისა ა/კსფსრ კანონმდებლობაში შესატანი იმ ცვლილებების შესახებ, რაც გამოიძინარეობს ამა დადგენილებიდან.

ბ. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათ შვეუთანხმონ ერთი თვის ვადაზე ამა დადგენილებას რესპუბლიკანური კანონმდებლობა.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჯუღელი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. დოლიძე.**

1931 წ. იანვრის 6.
ტფილისი.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

15. „ა/კსფსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარი სამმართველოსათვის სავალდებულო დადგენილებათა და ინსტრუქციათა გამოცემისა და მათი დარღვევის გამო აღმინისტრაციული წესით გადასახდელის დადების უფლების მინიჭების თაობაზე“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. ივლისის 22-ის დადგენილების შეცვლისა და დამატების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. ივლისის 22-ის დადგენილებაში „ა/კსფსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარ სამმართველოსათვის სავალდებულო დადგენილებათა და ინსტრუქციათა გამოცემისა და მათი დარღვევის გამო აღმინისტრაციული წესით გადასახდელის დადების უფლების მინიჭების შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1929 წ. მე-14 №-ი, მუხ. 113) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება და დამატება:

1. ამოიწალოს 1-ლი მუხლის შენიშვნა.
2. მე-3 მუხლიდან ამოიწალოს სიტყვები: „და 1-ლი მუხლის შენიშვნა“.
3. დაემატოს 1¹ მუხლი შემდეგი რედაქციით:

„1¹. საქალაქო საბჭოებსა და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს შეუძლიანთ გამოსცენ სავალდებულო დადგენილებანი 1-ლი მუხლის „გ“ ლიტერში აღნიშნული საკითხების შესახებ მხოლოდ სათანადო გზატკეცილებისა, ყამირ-გზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოსთან შეთანხმებით“.

II

წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს შეუთანხმონ აღნიშნული რესპუბლიკების კანონმდებლობა ამა დადგენილებას.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
 კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კახიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
 საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჯუღელი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
 კომიტეტის მდივანი **ა. დოლიძე.**

1931 წ. იანვრის 6.
 ქ. ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს მე-14 №-ში 1931 წ. იანვრის 14-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

16. „შრომის საგზაო ბეგარის დებულების დამტკიცებისა და სა-მოქმედოდ შემოღების თაობაზე“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. ივლისის 3-ის დადგენილების მე-2 მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

მე-2 მუხლი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. ივლისის 3-ის დადგენილებისა

„შრომის საგზაო ბეგარის დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1930 წ. მე-13 №-ი, მუხ. 148) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„2. წინა მუხლში აღნიშნული „შრომის საგზაო ბეგარის დებულების“ მოქმედება გავრცელებულ იქნეს ყველა იმ ქალაქსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილზე, რომლის მოსახლეობაც იბეგრება ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით“.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე ს. კახიანი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე ს. ჯუღელი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი ა. დოლიძე.

1931 წ. იანვრის 6.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს მე-14 №-ში 1930 წ. იანვრის 14-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

17. შრომის საგზაო ბეგარის დებულების ზოგიერთი მუხლის დამატებისა და შეცვლის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

შრომის საგზაო ბეგარის დებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი დამატება და ცვლილება,

1. მე-6 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„6. საგზაო მშენებლობაში შრომითი მონაწილეობა საოპერაციო წლის განმავლობაში, რაც თითო პირზე მოდის, მე-12¹ მუხლით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, არ შეიძლება აღემატებოდეს შეიდი დღის სამუშაო დატვირთვის საგადანაკვეთო დებულების ნორმების მიხედვით“.

მე-6 მუხლის 1-ლი შენიშვნა ამოიშალოს.

2. მე-12 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„12. შრომის საგზაო ბეგარა ამა დებულების მე-3 მუხლის „ბ“ პუნქტში აღნიშნული ფორმით, მე-12¹ მუხლით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, არ შეიძლება აღემატებოდეს შვიდ დღეს თვითეულ წყვილ მუშა-საქონელზე—საგადანაკვეთო დებულების ნორმების თანახმად გამოანგარიშებული დატვირთვის მიხედვით“.

მე-12 მუხლის შენიშვნა ამოიშალოს.

3. დაემატოს მე-12¹ მუხლი შემდეგი რედაქციით:

„12¹. უკეთუ მთელი მოსახლეობის შრომის ბეგარა სავსებით გამოყენებულია ამა დებულების შესაბამისად და მაინც დაწყებული სამუშაოების დასამთავრებლად ან დამატებითი სამუშაოების განსახორციელებლად აღნიშნული შრომის ბეგარა საკმარისი არ აღმოჩნდა, დამატებით შრომის ბეგარაზე გაიწვევიან, მე-6 და 12 მუხლებში გათვალისწინებულ ფარგლებში, ის პირნი, რომელთა მეურნეობანიც ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით იბეგრება ინდივიდუალური წესისამებრ, და ის პირნი, რომელთაც საშემოსავლო გადასახადი შეწერილი აქვთ მე-3 №-ის განრიგის მიხედვით“.

4. მე-7 მუხლის მე-2 ნაწილი ამოიშალოს.

5. მე-15 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„15. შრომის საგზაო ბეგარის გამოყენებით განსახორციელებელ საგზაო სამუშაოთა წლიური გეგმებით (მუხ. 25) გათვალისწინებული დღე-საზიდავების საერთო რიცხვი, რაც სათანადო ადგილის მეურნეობაზე მოდის, განაწილდება პროპორციულად ყველა სასოფლო ინდივიდუალურ და კოლექტიურ მეურნეობათა შორის იმ მუშა-საქონლისა და საჭირო ჰაბანზიდვის სატრანსპორტო საშუალებათა რაოდენობის მიხედვით, რაც ამ მეურნეობაშია“.

6. 25 და 28 მუხლებში სიტყვები: „საოლქო და სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის მიერ (ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების მიერ)“ და „საოლქო და სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტები (ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები)“ შეიცვალოს სიტყვებად: „სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების მიერ“ და „სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტები“.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
 კომიტეტის თავმჯდომარე **ხ. კახიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
 თავმჯდომარის მოადგილე **ხ. ჯუღელი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
 კომიტეტის მდივანი **ა. დოლიძე.**

1931 წ. იანვრის 6.

ტფილისი.

ამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს მე-16 №-ში 1931 წ. იანვრის 16-ს.

დადგენილება ა/კსუსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

18. სახელმწიფო ტრესტების მოგების განაწილებისა და ამ მოგების ანარიცხების სახელმწიფო შემოსავალში შეტანის წესის შესახებ.

ა/კსუსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

„მოგების განსაზღვრისა და განაწილების წესის შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. თებერვლის 20-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1928 წ. მე-17 №-ი, მუხ. 147) გაუქმებულ იქნეს ა/კსუსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი:

1) 1925 წლის აპრილის 6-სა „შერეულ სააქციო საზოგადოებათა, სავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობათა და საკონცესიო საწარმოთა ბალანსების განხილვისა და მოგების განაწილების წესის შესახებ“ (ა/კსუსრ კან. კრ. 1925 წ. მე-4 №-ი მუხ. 411);

2) 1926 წ. მარტის 18-სა „სახელმწიფო სამეურნეო ორგანიზაციების წლიური ანგარიშების განხილველი საუწყებთაშორისო კომისიის სამოქმედო ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ (ა/კსუსრ კან. კრ. 1926 წ. მე-3 №-ი, მუხ. 618);

3) 1926 წ. აპრილის 6-სა, „შერეულ სააქციო საზოგადოებათა, სავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობათა და საკონცესიო საწარმოთა ბალანსების განხილვისა და მოგების განაწილების წესის შესახებ“ (ა/კსუსრ კან. კრ. 1926 წ. მე-4 №-ი, მუხ. 644).

5) 1927 წ. იანვრის 12-სა „საწარმოთა ბალანსებისა და ანგარიშების თავის დროზე წარდგენისა და განხილვის შესახებ“ (ა/კსუსრ კან. კრ. 1927 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 11).

ა/კსუსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე ა. ბეკვალიანი.

ა/კსუსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის თან. დრ. აღმ. ა. ბანოვიჩი.

1930 წ. აპრილის 22.

№ 326.

ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

19. „ა/კსფსრ მებამბეობის განვითარების 1930-31 წლის საკონტროლო ციფრების თაობაზე“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. სექტემბრის 5-ის დადგენილების მე-III კარის მე-8 მუხლის გაუქმების შესახებ.

ა/კსფსრ საბამბე მეურნეობათა კოლექტივიზაციის ტემპების მიხედვით, რაც 1931 წელს ირკვევა, და ამ მეურნეობათა დაკრედიტების გაძლიერების გამო, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიზანშეუწონლად მიიჩნია 1931 წლის კამპანიის დროს ზამბის გრძელვადიანი კონტრაქტაციის ჩატარება და, ამისდაშესაბამისად, იგი ადგენს:

„ა/კსფსრ მებამბეობის განვითარების 1930-31 წლის საკონტროლო ციფრების შესახებ“ გამოქვეყნებული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. სექტემბრის 5-ის დადგენილების მე-III კარის მე-8 მუხლი (ა/კსფსრ კან. კრ. 1930 წ. მე-17 №-რი, მუხ. 184) გაუქმებულ იქნეს.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ს. ფირუშოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის თან. დრ. აღმ. ნ. სოკოლოვსკი.

1931 წ. იანვრის 2.

№ 320.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს მე-10 №-ში 1931 წ. იანვრის 10-ს.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

20. „ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ჰიდრომეტეოროლოგიური კომიტეტის დებულების“ მე-10 მუხლის დამატების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

„ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ჰიდრომეტეოროლოგიური კომიტეტის დებულების“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1930 წ. მე-5 №-ი, მუხ. 61) მე-10 მუხლში აღნიშნული შედგენილობა კომიტეტისა შეივსოს

„დობროლიოტ“-ის უკრაინისა და კავკასიის საჰაერო ხაზების სამმართველოს წარმომადგენლით და ეს მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„10. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკათა, უწყებათა, დაწესებულებათა და საწარმოთა ინტერესების შესათანხმებლად მეტეოროლოგიისა და ჰიდროლოგიის სფეროში და ა/კსფსრ-ის ჰიდრო-მეტეოროლოგიურ სამსახურის წასამართავად სახალხო მეურნეობისა და სოციალისტური მშენებლობის ინტერესების მიხედვით—ა/კსფსრ ჰიდრო-მეტეოროლოგიურ კომიტეტის მოეწყობა თათბირი შემდეგი შედგენილობით: კომიტეტის თავმჯდომარე და წევრები: თითო წარმომადგენელი სსრკ-ის სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულისა ა/კსფსრ-ში, გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულისა ა/კსფსრ-ში, ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა, ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიისა, ამიერკავკასიის სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოსი, „დობროლიოტ“-ის უკრაინისა და კავკასიის საჰაერო ხაზების სამმართველოსი, რესპუბლიკანური ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატებისა და განათლების სახალხო კომისარიატებისა—მათი შეთანხმებისამებრ; თათბირის შედგენილობაში წევრებად შედიან აგრეთვე რესპუბლიკანურ ჰიდრო-მეტეოროლოგიურ დაწესებულებათა დირექტორები. სსრკ-ის ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტის წევრები შედიან თათბირში გადამწყვეტი ხმის უფლებით.“

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ხ. ფირუმოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის თან. დრ. აღმ. **ნ. სოკოლოვსკი.**

1931 წ. იანვრის 2.

№ 327.

ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

21. „ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით კულაკურ მეურნეობათა ინდივიდუალური წესით დაბეგვრის ღონისძიებათა შესახებ“ („1930-31 წ. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ძირითად დებულებათა თაობაზე“ 227 №-ით გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების მე-11 მუხ. შეცვლის შესახებ“ — ა/კსფსრ კან. კრ. 1930 წ. მე-15 №, მუხ. 163).

მოისმინა-რა ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის მოხსენება ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით კულაკურ მეურნეობათა ინდივიდუალური წესით დაბეგვრის საქმის მსვლელობის შესახებ, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო აღგენს:

I. აღინიშნოს, რომ კულაკურ მეურნეობათა რიცხვი გამორკვეულია აშკარად არასაკმარისად და ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით კულაკურ მეურნეობათა ინდივიდუალური წესით დაბეგვრის შედეგები ცნობილ იქნეს არა-დამაკმაყოფილებლად.

II. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს — დაევაღონ ადგილობრივ საბჭოებსა და აღმასრულებელ კომიტეტებს იხმარონ ღონისძიება ყველა კულაკური მეურნეობის გამოსარკვევად და ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით ინდივიდუალური წესისამებრ დასაბეგრად, რისთვისაც ანგარიშში მიღებულ უნდა იქნეს:

ა) რომ კულაკური მეურნეობის შემოსავალი გამოინაგარიშება თვითეული დარგის მიხედვით ცალ-ცალკე და დაიბეგრება ნამდვილი რაოდენობით; ამასთანავე, დაიბეგრება სოფლის მეურნეობის ყველა წყაროს შემოსავალი და ყოველგვარი არასამიწათმოქმედო საშოვარი, ამ რიცხვში — ისეთებიც, რაც ამა თუ იმ რაიონის საშუალო მეურნეობაში არ იბეგრება (მაგალითად, მელიორებისა, მეფერინველეობისა და სხვ. შემოსავალი);

ბ) რომ სოფლის მეურნეობის წყაროებიდან მიღებული კულაკური მეურნეობის დასაბეგვრის შემოსავალი გამოიკვეთოს უნდა იქნეს არა საერთო შემოსავლისა და თვითეული დარგის ცალკეული ხარჯის დიფერენციით გამოანგარიშებით, არამედ მეურნეობაში ქონებული დასაბეგვრი ობიექტებისა და ნიშნების მიხედვით, რაც აღიღებს საშუალო შემოსავალს;

გ) ყოველგვარი არასამიწათმოქმედო საშოვარი, ამ რიცხვში სამუშაო ხელფასიც, მიიღება ანგარიშში და ჩაირიცხება დასაბეგვრავ შემოსავალში 100%-ის რაოდენობით;

დ) სასოფლო-სამეურნეო გადასახადით ინდივიდუალური წესისამებრ დაბეგვრილ მეურნეობას არავითარი შეღავათი არ ეძლევა.

III. „1930-31 წლის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონის ძირითად დებულებათა თაობაზე გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბ-

ქოს 1930 წ. მარტის 9-ის თარიღისა და 227 №-ის დადგენილების მე-11 მუხლის შეცვლის შესახებ“ გამოქვეყნებული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. აგვისტოს 10-ის დადგენილების შესაცვლელად (ა/კსფრ კან. კრ. 1930 წ. მე-15 №-ი, მუხ. 163) დაწესებულ იქნეს, რომ მეურნეობა კულაკურ მეურნეობად ჩაითვლება და ინდივიდუალური წესით დაიბეგრება ერთ-ერთი შემდეგნი წესით მიხედვით:

ა) უკეთუ მეურნეობაში სისტემატიურად გამოიყენება დაქირავებული შრომა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისათვის ან საშინამრეწველო რეწაობაში და საწარმოში, ისეთი შემთხვევის გამოკლებით, როდესაც დაქირავებული შრომის გამოყენება გამოწვეულია ცალკეული სასოფლო-სამეურნეო კულტურების განსაკუთრებული ხასიათით და იგი არ აღემატება მუშა-ძალის დაქირავების უკიდურეს რაოდენობას.

მუშა-ძალის დაქირავების უკიდურესი რაოდენობა, რაც არ იწვევს მეურნეობის ინდივიდუალური წესით დაბეგრას, განსაზღვრულ იქნეს:

1) სამარცველული მეურნეობისათვის 35 დღიდან 50 დღემდე; ამასთანავე, ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოები, ადგილობრივი პირობების მიხედვით, მუშა-ძალის დაქირავების ოდენობას რაიონებზე მარცვლელ მეურნეობათათვის აწესებენ ამ ფარგლებში;

2) საბაღე მეურნეობისათვის—75 დღემდე;

3) საჩაიე მეურნეობისათვის—100 დღემდე;

4) საბამბე მეურნეობისათვის—150 დღემდე;

5) სათამბაქო მეურნეობისათვის—200 დღემდე;

6) სამესაქონლეო მეურნეობისათვის 1 მწყემსის თანაშემწე;

7) საბრინჯე მეურნეობისათვის—არასაბამბე რაიონებში—50 დღემდე, ხოლო ლენქორანისა, მასალინისა, ასტრახან-ბაზარისა და ასტარის რაიონებში—75 დღემდე;

შენიშვნა. საბამბე რაიონებში საბრინჯე მეურნეობის მიერ მუშა-ძალის დაქირავება ითვლება ნიშნად ინდივიდუალური წესით დაბეგრვისათვის, იმისდამოუხედავად, თუ რაოდენი მუშა-ძალა დაქირავებული;

8) სავენახე მეურნეობისათვის—75 დღიდან 100 დღემდე; ამასთანავე უფლება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს, ადგილობრივი პირობების მიხედვით, მუშა-ძალის დაქირავების ოდენობა რაიონებზე სავენახე მეურნეობათათვის დააწესონ ამ ფარგლებში;

შენიშვნა. აზერბაიჯანის სსრ სახალხო კომისართა საბჭომ განჯის რაიონის სავენახე მეურნეობათათვის უნდა დააწესოს სპეციალური უკიდურესი ოდენობა მუშა-ძალის დაქირავებისა;

ბ) უკეთუ მეურნეობას აქვს ისეთი წისქვილი, ზეთის სახდელი ან კარაქის სადღვები, ბურღლის საფქველი, ფეტვის საფქველი, ბოჭკოს საჩეჩელი, მატყლის საპნები, სასრესი, კარტოფლისა, ხლისა და ბოსტნეულის სახმობ-საშრობი და საცხეველი საწარმო, ნორმული ქარხანა ან სხვა სამრეწველო საწარმო, რომლისთვისაც გამოიყენება მექანიკური ძრავი; უკეთუ მეურნეობას აქვს ასეთი საწარმო, რომელიც მოქმედობს ქარისა თუ წყლის ძალით და რომლის შემოსავალიც აღემატება 125 მან. წელიწადში;

შენიშვნა. როდესაც ქარისა თუ წყლის ძალით მომქმედი საწარმო რამდენსამე თანამფლობელს ეკუთვნის, მათ შორის, უკეთეს სხვა ნიშნები არ არის, ინდივიდუალური წესით, დაიბეგრება მხოლოდ ის, ვისი შემოსავალიც ამ საწარმოს იმ ნაწილისა, რაც მას ეკუთვნის, აღემატება 125 მან. წელიწადში;

გ) უკეთეს მეურნეობას აქვს სამრეწველო საწარმო და ამ საწარმოს მეშვეობით იგი ეწევა გარემო მოსახლეობის ექსპლოატაციას სამუშაოს სახლში გაცემით, ან ეს საწარმო იჯარით აქვს გაცემული და მისი შემოსავალი აღემატება 125 მანეთს წელიწადში;

დ) უკეთეს მეურნეობა აქირავებს რთულ სასოფლო-სამეურნეო მანქანას ან ამ მანქანით ასრულებს სხვა მეურნეობისათვის სამუშაოს სასყიდლით და შემოსავალი აღემატება 125 მან. წელიწადში;

ე) უკეთეს მეურნეობა იჯარით იღებს მიწას ისეთი პირობით, რასაც სარაიონო საგადასახადო კომისია სცნობს კაბალურ პირობად მიწის გამცემისათვის;

ვ) უკეთეს მეურნეობა, სავაჭრო და სამრეწველო ექსპლოატაციის მიზნით, იჯარით იღებს ბალს, ვენახს და სხვ.; ამასთანავე, აქსტსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოები განსაზღვრავენ ბალსა და ვენახის იჯარით გაცემის უკიდურეს ოდენობასა და პირობებს;

ზ) უკეთეს მეურნეობა აქირავებს (კალკულ გაწყობილ) შენობას საცხოვრებლად ან საწარმოს მოსათავსებლად და ამ გაქირავებით მიღებული შემოსავალი აღემატება 150 მან. წელიწადში;

თ) უკეთეს მეურნეობის წევრი ეწევა ვაჭრობას, მეცხვრობას ან მას აქვს სხვა არაშრომითი შემოსავალი (მათ შორის კულტის მსახურის შემოსავალიც) — შემოსავლის რაოდენობის მიუხედავად.

შენიშვნა. ა/კსტსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს უფლება აქვთ, ადგილობრივი პირობების მიხედვით, შეავსონ ზემოაღნიშნული ნიშნების ნუსხა.

IV. ინდივიდუალური წესით გამოანგარიშებული ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის თანხების თავის დროზე და სრულად გადახდევინების უზრუნველსაყოფად წინადადება მიეცეს ა/კსტსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს — დაავალონ სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს შეუფარდონ კულაკურ მეურნეობათ ქონების სავარანტო აწერა.

V. წინადადება მიეცეს ა/კსტსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს დაამყარონ ზუსაითი მეთვეფურება იმისათვის, რათა ინდივიდუალური წესით არ იბეგრებოდეს საშუალო მეურნეობები და ამ წესის დარღვევისათვის დამნაშავენი მისცენ სასტიკ პასუხისგებაში ადმინისტრაციული და სასამართლო წესით.

ა/კსტსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ხ. ფირუმოვი.**

ა/კსტსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის თან. დრ. აღმ. ნ. **სოკოლოვსკი.**

1931 წ. იანვრის 4.

№ 318.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“ ს მე-5 №-ში 1931 წ. იანვრის 5-ს.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

22. 1931 წლის საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის გეგმის შესახებ.

1931 წლის საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის ბოლშევიკური ტემპით მომზადებასა და ჩატარებას აქვს გადაწყვეტი მნიშვნელობა სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის გეგმის განხორციელებისათვის. ხუთწლედის მესამე წლის საგაზაფხულო კამპანიამ უნდა განამტკიცოს და გააფართოოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების სოციალისტური ფორმები (საბჭოთა მეურნეობები, კოლექტიური მეურნეობები, სამანქანო-სატრაქტორო სადგურები) და შეზღუდოს და გამოიძევოს კულაკობა მის წინააღმდეგ გადაწყვეტი ბრძოლის წარმოებით.

სოფლის მეურნეობის მწარმოებელ ძალთა დაჩქარებითი განვითარება ამ საფეხველზე 1931 წლის საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის დროს უზრუნველყოფილ უნდა იქნეს შემდეგ ღონისძიებათა განხორციელებით:

ა) გაბედულად უნდა გაიშალოს მალალფასიანი და სუბტროპიკული კულტურების გავრცელება, როგორც ახალი ფართობების გამოყენებით, ისე სამარცვლეულო ნათესების გამოიძევებით;

ბ) თვალსაჩინოდ უნდა გაფართოვდეს სამრეწველო მეცხოველეობა და გაძლიერდეს საკვებ ბალახთა წარმოება, რაც უაღრესი მნიშვნელობის პირობაა მეცხოველეობის პრობლემის გადასაწყვეტად;

გ) თვალსაჩინოდ უნდა განვითარდეს მეხილეობა და მებოსტნეობა, განსაკუთრებით სამრეწველო ცენტრების რაიონებში და ქალაქების ირგვლივ.

ამასთან ერთად 1931 წ. საგაზაფხულო კამპანიის დროს უზრუნველყოფილ უნდა იქნეს არა მარტო ნათესი ფართობების ოდენობითი გაფართოება, არამედ უფრო მეტად—მალალი თვისებრივი მაჩვენებლები: მოსავლიანობის გადიდება, ოთხფეხი საქონლის პროდუქტიულობის გადიდება, შრომის ნაყოფიერების ზრდა, თვითღირებულობის შემცირება და მექანიკური და ცოცხალი საწევი ძალის და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის სრული გამოყენება.

1931 წ. საგაზაფხულო თესვის სამზადისისა და სწრაფი ტემპით ჩატარების თავის დროზე გაშლა, აგრეთვე მუშათა კლასისა, კოლმეურნეებისა, მოჯამავირებისა, ღარიბ და საშუალო გლეხთა ფართო მასების მოზილიზაცია—აუცილებელი პირობაა ამ უდიდესი სამეურნეო-პოლიტიკური კამპანიის შესრულებისათვის.

საგაზაფხულო კამპანიის ჩატარებისათვის უაღრესი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე თესვის გეგმის თავის დროზე მიწვდენას თვითიველ საბჭოთა მეურნეობამდე, კოლექტიურ მეურნეობამდე, სოფლამდე და ინდივიდუალურ მეურნეობამდე.

1931 წ. საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის თავის დროზე მომზადებისა და ჩატარების მიზნით—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

I. ნათესის საერთო ფართობი.

1. ა/კფსრ-ში საანეულო ნაკვეთის ფართობის საერთო ოდენობა 1931 წ. საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიისათვის განსაზღვრულ იქნეს 1.506.000 ჰექტარით; ამ რიცხვიდან:

აზერბაიჯანის სსრ-ში	407.660 ჰექტ.;
სომხეთის სსრ-ში	338.850 ჰექტ.;
საქართველოს სსრ-ში	759.490 ჰექტ.;

2. წინადადება მიეცეს ა/კფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს და აგრეთვე ა/კფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატსა და საკოლმეურნეო სისტემის ამიერკავკასიის ცენტრს— დაამთავრონ გეგმის მიწვდენა თვითეულ საბჭოთა მეურნეობამდე, კოლექტიურ მეურნეობამდე, სოფლამდე და ინდივიდუალურ მეურნეობამდე იანვრის 15-თვის; ამასთანავე, სას.-სამეურნეო კამპანიას მისცენ ფართო საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხასიათი და იხმარონ ღონისძიება, რათა თესვის გეგმა განხილულ იქნეს აუცილებლად სასოფლო საბჭოების სხდომებზე, გლეხთა საერთო ყრილობებზე, კოლმეურნეთა კრებებზე და საწარმოო თათბირებზე.

3. წინადადება მიეცეს ა/კფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს, რათა საბჭოთა სარაიონო ყრილობებზე სპეციალურად განხილულ იქნეს საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის სარაიონო გეგმა და შემუშავდეს კონკრეტული ღონისძიებანი, რაც უზრუნველყოფს კამპანიის წარმატებით ჩატარებას.

II. ტექნიკური კულტურები.

ბ ა მ ბ ა.

1. ბამბის ფაქტიური ნათესის ფართობი ინსტრუმენტალური გაზომვით განსაზღვრულ იქნეს 250.000 ჰექტარით; აქედან:

აზერბაიჯანის სსრ-ში	205.000 ჰექტ.;
სომხეთის სსრ-ში	25.000 ჰექტ.;
საქართველოს სსრ-ში	20.000 ჰექტ.

ნედლი ბამბის მოსავლიანობა საშუალოდ ა/კფსრ-ში მიღწევიანებულ უნდა იქნეს 8,5 ცენტნერამდე ჰექტარზე.

2. ბამბის თესვის აღნიშნული გეგმის (რაც, ინსტრუმენტალური გაზომვით, 1930 წელთან შედარებით გადიდებულია 38 პროც.) წარმატებით შესრულება უზრუნველყოფილ იქნეს ბამბისათვის ვარგისი, სარწყავი მიწების სამარცვლეულო და სხვა კულტურებისათვის (ბრინჯი, კუნჯუთი და სიმინდი) გამოყენების კრძალვით.

3. წინადადება მიეცეს ა/კფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს იხმარონ გადაამწყვეტი ღონისძიება, რაც ნამდვილად უზრუნველყოფს აღნიშნული კულტურების გამოლენას საბამე რაიონები-

დან და აგრეთვე სახაფხულო წყლის მარტოოდენ ბამბის ფართობებისათვის მიცემას ამ რაიონებში.

წინადადება მიეცეს ა/კფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს, უკეთუ ბამბის დასათესად განმზადებულ ფართობებზე თვითნებასად დათესილია სამარცვლეულო კულტურები, იხმარონ ნამდვილი ღონისძიება, რათა ეს ფართობები გადაიხნას ბამბისათვის, ხოლო ის პირნი, ვინც ეწინააღმდეგება ასეთ ღონისძიებას, მისცენ პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით.

4. წინადადება მიეცეს ა/კფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, ა/კფსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოს და ა/კფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—ადგილობრივ წყალსარგებლობის მოსაწყობად და რწყვის კამპანიისათვის გასაწევი ხელმძღვანელობის გასაუმჯობესებლად:

ა) მოაწყონ ყველა იმ რაიონში, სადაც სარწყავი საბამე ფართობებია, წყალთა მეურნეობის სარაიონო სამმართველოები და უზრუნველყონ მათი მუშაობის ფაქტიურად დაწყება მომუშავეების დანიშვნით არა უგვიანეს იანვრის 15-სა;

ბ) იხმარონ გადამწყვეტი ღონისძიება წყალსარგებლობის სფეროში საკირო დისციპლინის დასამყარებლად, აგრეთვე—წყლის მტაცებლურად გამოყენებისა და სარწყავი სისტემებისადმი დაუდევრად მოპყრობის წინააღმდეგ საბრძოლველად;

გ) უზრუნველყონ ყველგან ღამით რწყვა;

5. 1931 წ. თებერვალი გამოცხადებულ იქნეს სარწყავი ქსელის წმენდის თვედ, რაშიაც ჩამბულ უნდა იქნეს ადგილობრივი სოფლის მოსახლეობა; დაევალოს ა/კფსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოს და ა/კფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს უზრუნველყონ სათანადო ხელმძღვანელობის გაწევა ამ მუშაობისათვის.

6. დაევალოს ა/კფსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოს და ა/კფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—დამთავრონ ყველა წყალსაქანის რემონტი და აგრეთვე სარწყავი სისტემების რემონტი ვადაზე, არა უგვიანეს თენახევრისა ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან.

7. წინადადება მიეცეს ა/კფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, მებაზემობის მთავარი კომიტეტის რწმუნებულს და ტრაქტორცენტრის ამიერკავკასიის განყოფილებას იხმარონ ღონისძიება ყველა ტრაქტორის მარტოოდენ ზამთრისპირულ ხვნაზე გასაგზავნად. მიენდოს ა/კფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—მოახდინონ საბამე რაიონებში მთლად კოლექტიური მეურნეობებისა და ინდივიდუალური მეურნეობების ცოცხალი საწევი ძალის მობილიზაცია და ისიც აგრეთვე ზამთრისპირულ ხვნაზე წარმართან, ისეთი ვარაუდით, რომ ეს ხვნა დამთავრებულ იქნეს არა უგვიანეს იანვრის 20-სა, ხოლო ზამთრის არათი—თებერვლის 1-სა.



8. წინადადება მიეცეს ა/კფსრ შიდგენილობაში შენგავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს, ა/კფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, ტრაქტორცენტრის ამიერკავკასიის განყოფილებას; სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის რესპუბლიკანური კავშირების ამიერკავკასიის კავშირს და სასოფლო-სამეურნეო იარაღით და მანქანებით მომმარაგებელ ამიერკავკასიის სააქციო საზოგადოებას— დაუყოვნებლივ შეუდგენენ ყველა ქონებული სასოფლო-სამეურნეო მანქანისა, მწკრივ-სათესი მანქანისა და კულტივატორის რემონტს და თავის დროზე გაანაწილონ ეს რაიონებზე; თანაც სავსებით უზრუნველჰყონ ეს მანქანები და იარაღი საჭირო რაოდენობის სათადარიგო ნაწილებით და სათბობი მასალით, რათა აპრილის 10-ვის დაწყებულ იქნეს ბამბის მწკრივი თესვა 110.000 ჰექტარზე, სათანადო სასუქის გამოყენებით და შემდგომ მანქანური დამუშავებით და კულტივაციით; ამასთანავე, ამ ფართობის 20 პროცენტი დამუშავებულ უნდა იქნეს ტრაქტორებით.

9. თესვის დამთავრების უკიდურეს ვადად დადგენილ იქნეს მაისის 10-ი, რადგანაც უკანასკნელი ორი წლის გამოცდილებამ და პრაქტიკამ გამოარკვია, რომ ბამბის დავიანებით დათესვა იწვევს ბამბის პარკის მასიურ გაუხსნელობასა და მცირე მოსავლიანობას.

წინადადება მიეცეს ა/კფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, მეზამბეობის მთავარი კომიტეტის რწმუნებულთან, რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებთან და სამეზამბეო კოოპერაციასთან ერთად, დაადგინოს რაიონებისათვის თესვის დაწყების და დამთავრების ვადები და გამოაქვეყნოს არა უგვიანეს თებერვლის 15-სა სათანადო დადგენილება.

III. სხვა ტექნიკური კულტურები.

1. თამბაქოს ნათესი ფართობი გადიდდეს 8,7 ათასი ჰექტარით და იგი მილწვეინებულ იქნეს 30.000 ჰექტარამდე; აქედან:

აზერბაიჯანის სსრ-ში	1.360 ჰექტ.;
სომხეთის სსრ-ში	2.650 ჰექტ.;
საქართველოს სსრ-ში	25.990 ჰექტ.

2. კენაფის და საბაგირე მცენარის ნათესი ფართობი გადიდდეს 21,8 ათასი ჰექტარით და იგი მილწვეინებულ იქნეს 30.000 ჰექტარამდე; აქედან:

აზერბაიჯანის სსრ-ში	16.000 ჰექტ.;
სომხეთის სსრ-ში	—
საქართველოს სსრ-ში	14.000 ჰექტ.

3. რამის ნათესი ფართობი მილწვეინებულ იქნეს 8.000 ჰექტარამდე; აქედან:

აზერბაიჯანის სსრ-ში	0,5 ათასი ჰექტ.;
სომხეთის სსრ-ში	—
საქართველოს სსრ-ში	7,5 ათასი ჰექტ.

4. შაქრის ქარხლის ნათესი ფართობი გადიდებულ იქნეს 1,8 ათას ჰექტარამდე; აქედან:

აზერბაიჯანის სსრ-ში	—
სომხეთის სსრ-ში	0,7 ათასი ჰექტ.;
საქართველოს სსრ-ში	1,1 ათასი ჰექტ.

5. სოიას მთლიანი ნათესი ფართობი მიღწევიანებულ იქნეს 52.000 ჰექტარამდე; აქედან:

აზერბაიჯანის სსრ-ში	2.000 ჰექტ.;
სომხეთის სსრ-ში	—
საქართველოს სსრ-ში	50.000 ჰექტ.

6. ამავე დროს საქართველოს სსრ-ში სოიას თესვა კვლავ უზრუნველყოფილ იქნეს 50.000 ჰექტარზე მთლიანი ნათესის ვარაუდით.

7. არახისის ფართობი განსაზღვრულ იქნეს 1.100 ჰექტარით; აქედან:

აზერბაიჯანის სსრ-ში	0,2 ათასი ჰექტ.;
სომხეთის სსრ-ში	—
საქართველოს სსრ-ში	0,9 ათასი ჰექტ.

8. სხვა კულტურების ფართობი (კუნჯუთი, სელი, ლუფა, აბუსალათინი, მზეუჭერიტა, ხაოიანი ხორკლი და სხვ.) მიღწევიანებულ იქნეს 27.450 ჰექტარამდე და იგი რესპუბლიკებზე განაწილდეს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის გეგმის თანახმად.

IV. მრავალწლიანი ნარგავები.

1. უზრუნველყოფილ იქნეს ახალი ვენახების ჩაყრა 2.500 ჰექტარის ფართობზე.

2. ხილეულ ნარგავთა ჩაყრა განსაზღვრულ იქნეს 6.500 ჰექტარის ფართობზე.

3. უზრუნველყოფილ იქნეს ჩაის ნარგავთა ჩაყრა 15.000 ჰექტარის ფართობზე და, ამის გარდა, 1931 წელს ჩასაყრელად მომზადდეს 5.000 ჰექტარი.

შენიშვნა. მრავალწლიან ნარგავთა ფართობის რესპუბლიკებზე დაყოფა მოხდეს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის გეგმის თანახმად.

V. საანეულო მარცვლეული კულტურები.

1. საანეულო მარცვლეული კულტურების ფართობი განისაზღვროს 879,5 ათასი ჰექტარით; აქედან:

აზერბაიჯანის სსრ-ში	90,6 ათასი ჰექტ.;
სომხეთის სსრ-ში	241,5 ათასი ჰექტ.;
საქართველოს სსრ-ში	547,4 ათასი ჰექტ.;

2. სოფლის მეურნეობის სოციალისტური სექტორის შემდგომი ზრდისა, აგრო-ლონისძიებათა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტენიკური გარდა-



იარაღების საფუძველზე მარცვლეული კულტურების საშუალო მოსავლიანობის გადიდება მიღწევიანებულ იქნეს არა ნაკლებ, ვიდრე 9 პროცენტამდე, ხოლო კოლექტიურ მეურნეობებში—15 პროცენტამდე.

3. მიენდოს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს:

ა) დამთავრონ ზამთრისპირული ხენა საანულო მარცვლეულობისათვის არა ნაკლებ, ვიდრე 160 ათასი ჰექტარის ფართობზე;

ბ) ჩაატარონ თესლეულის 100-პროცენტაიანი გადარკვევა და 100-პროცენტიანი დაწამლვა;

გ) მოიცვან მწკრივი ნათესით ყველა სამარცვლეულო ნათესის 15,3 პროცენტი ა/კსფსრ-ში; აქედან:

აზერბაიჯანის სსრ-ში 33,1 პროც.

სომხეთის სსრ-ში 16,6 პროც.

საქართველოს სსრ-ში 11,9 პროც.

4. დაევალოს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—დაუყოვნებლივ ფართოდ გაშალონ კამპანია სათესლე რესურსების მობილიზაციისათვის და დააწესონ სათესლე ფონდების შეკრეფის დამთავრებისათვის შემდეგი ვადები: კოლექტიურ მეურნეობებში—დაეაღების 75 პროცენტი იანვრის 15-თვის, დანარჩენი—მარტის 1-თვის; ინდივიდუალურ მეურნეობებში დამზღვევი ფონდების შეკრეფა დაამთავრონ იანვრის 15-თვის.

5. იმ კოლექტიურ მეურნეობათა სათესლე ფონდების განსაზოგადოება, რომელნიც ახალად ეწყობიან, და აგრეთვე სათესლე სესხთა მიღება ახალ კოლმეურნეთაგან, რომელნიც კოლექტიურ მეურნეობებში შედიან, უნდა სწარმოებდეს კოლექტიურ მეურნეობათა მოწყობასთან და ახალ წევრთა მიღებასთან ერთად. ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებმა უნდა შეამოწმონ ყველგან იანვრის 15-თვის ძველი კოლექტიური მეურნეობების მიერ სათესლე ფონდების გამოყოფა და ამ ფონდების შენახვის წესი.

VI. მებოსტნეობა.

1. ბოსტნებისა და ბაღების ფართობი გადიდდეს 19.850 ჰექტარით და მიღწევიანებულ იქნეს 50.950 ჰექტარამდე; აქედან:

აზერბაიჯანის სსრ-ში 25.050 ჰექტ.;

სომხეთის სსრ-ში 5.900 ჰექტ.;

საქართველოს სსრ-ში 20.000 ჰექტ.

2. დაევალოს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და მენე-ბლებთან ბრძოლის სააქციო საზოგადოების ამიერკავკასიის განყოფილებას—ჩაატარონ ბრძოლა საბოსტნე კულტურების მანეგებლთა და სენთა წინააღმდეგ ზამთრისა და გაზაფხულის პერიოდში 12.000 ჰექტარის ფართობზე.

3. კარტოფილის ფართობი გადიდდეს 28.000 ჰექტარით და მიღწევი-
ბულ იქნეს 59.000 ჰექტარამდე; აქედან:

აზერბაიჯანის სსრ-ში	19.000 ჰექტ.
სომხეთის სსრ-ში	20.000 ჰექტ.
საქართველოს სსრ-ში	20.000 ჰექტ.

წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის მეხილეობა-მეზობსტენობის კოოპერა-
ციას უზრუნველყოფის ეს ფართობი სათანადო სათესლე მასალით.

VII. მეცხოველეობა და საკვები ბაზისი.

1. რადგანაც მეცხოველეობის განვითარებას აქვს განსაკუთრებული მნიშე-
ვლობა და ა/კფსრ სასოფლო მეურნეობაში იგი წარმოადგენს თვალსაჩინო ხედე-
რითს წონას,—ოთხფეხი საქონლის სულობრივი საერთო ზრდა, 1930 წელთან
შედარებით, განისაზღვროს 5,5 პროცენტით: მსხვილფეხა რქოსანი საქონლისა—
4,5 პროცენტით, ცხვრისა—7,6 პროცენტით და ღორისა—53 პროცენტით.

2. 1931 წლისთვის საქონლის სულობრივი რაოდენობა განისაზღვროს
საბჭოთა მეურნეობებში: „სკოტოვოდ“ის სისტემისათვის—50.000 სულით, „ოვ-
ცევოდ“-ის სისტემისათვის—100.000 სულით და „სვინოვოდ“-ის სისტემისათვის—
9.000 დედა-ღორით.

3. წინადადება მიეცეს ა/კფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს
და ა/კფსრ შედგენილობაში შემაველი რესპუბლიკების სახალხო კომისართა
საბჭოებს—საქონლის სულობრივი რაოდენობის გათვალისწინებული ზრდის
უზრუნველსაყოფად და საქონლის პროდუქტიობის გასაზიადებლად:

ა) დააწესონ სასტიკი კონტროლი სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „საქონლის დაუზოგველად
დაკვლის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლის წარმოების შესახებ“ გამოცემული
1930 წ. ნოემბრის 1-ის დადგენილების შესრულებისათვის (სსრკ კან. კრ. 1930წ.
57 №-ი, მუხ. 599);

ბ) მიღწევიონ საკვები კულტურების ფართობი 115,9 ათას ჰექტარამდე;
აქედან სათესი ბალახისა—88,7 ათას ჰექტარამდე (1930 წელთან შედარებით
გადიდება უდრის 63,8 ათას ჰექტარს) და ფესვნარი კულტურებისა—14.000
ჰექტარამდე (1930 წელთან შედარებით გადიდება უდრის 11,2 ათას ჰექტარს);
აქედან:

სათესი ბალახი:

აზერბაიჯანის სსრ-ში	32.000 ჰექტ.
სომხეთის სსრ-ში	20.000 ჰექტ.
საქართველოს სსრ-ში	36.700 ჰექტ.

ფესვნარი კულტურები:

აზერბაიჯანის სსრ-ში	5.000 ჰექტ.
სომხეთის სსრ-ში	5.000 ჰექტ.
საქართველოს სსრ-ში	4.000 ჰექტ.

გ) განახორციელონ ღონისძიებანი სათიბებისა და საძოვრების ძირითადი გაუმჯობესებისათვის (ფარცხვა, გაპატიება, საძოვრების გამოყენება ამა თუ იმ სახის ოთხფეხი საქონლისათვის, რისთვისაც დამყარებულ უნდა იქნეს მტკიცე წესი, ძოვების ვადა და საძოვრების დატვირთვის ოდენობა);

დ) გააფართოონ საგრილობელი პუნქტების ქსელი და უზრუნველყონ ეს პუნქტები სათანადო რაოდენობის სანაშენო საქონლით მეცხოველეობის ყველა დარგში;

ე) დაუყოვნებლივ შეამოწმონ სასოფლო-სამეურნეო შენობების აგებისათვის წარმოებული მუშაობა (საქონლის ბაკები, საღორეები, საფრინველეები და სხვ.) და იხმარონ ვადამწყვეტი ღონისძიება, რათა ეს მშენებლობა თავის დროზე უზრუნველყოფილ იქნეს კრედიტებით და საშენი მასალით, რისთვისაც მაქსიმალურად გამოიყენონ ადგილობრივი საშენი მასალა;

ვ) მტკიცედ განახორციელონ კონტროლი დეფიციტური საშენი მასალის ხარჯვისათვის და იხმარონ ნამდვილი ღონისძიება ადგილობრივი საშენი მასალის წარმოების გაფართოებისათვის.

VIII. სოფლის მეურნეობის ტექნიკური ბაზისის გაძლიერება.

1. წინადადება მიეცეს ტრაქტორცენტრის ამიერკავკასიის განყოფილებას— მოაწყოს სავაზფეხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის დასაწყისათვის 18 ახალი სამანქანო-სატრაქტორო სადგური და ა/კსფსრ-ში მომუშავე სამანქანო-სატრაქტორო სადგურების რიცხვი მიღწევილებულ იქნეს 24-დღე; ამასთანავე, დააკისროს მათ ვალდებულობა— მოხნან 213.000 ჰექტარის საერთო-სათესი ფართობი; აქედან 163.000 ჰექტარი ბამბისათვის.

2. დაევალოს ტრაქტორცენტრის ამიერკავკასიის განყოფილებას და კოლმეურნეობის სისტემის ამიერკავკასიის ცენტრს— დაამთავრონ თებერვლის 15-თვის ტრაქტორების 75 პროცენტის რემონტი, ხოლო მარტის 15-თვის— დანარჩენი ტრაქტორებისა; თანაც უზრუნველყონ ეს ტრაქტორები საჭირო მისაბმელი ინვენტარით.

3. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, ტრაქტორცენტრის ამიერკავკასიის განყოფილებას და საკოლმეურნეო სისტემის ამიერკავკასიის ცენტრს იხმარონ ვადამწყვეტი ღონისძიება სატრაქტორო პარკის რაც შეიძლება უფრო ნაყოფიერად გამოყენებისათვის, ისეთი ვარაუდით, რომ სავაზფეხულო სასოფლო-სამეურნეო პერიოდში თვითეული ტრაქტორის მუშაობა მიღწევილებულ იქნეს არა ნაკლებ ვიდრე 20 საათამდე დღელამეში.

4. დაევალოს ტრაქტორცენტრის ამიერკავკასიის განყოფილებას, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის რესპუბლიკანური კავშირების ამიერკავკასიის კავშირს და საკოლმეურნეო სისტემის ამიერკავკასიის ცენტრს— იხმარონ ღონისძიება, რათა ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო ინვენტარს და ცოცხალი საწვეი ძალა მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული მუშაობაში ტრაქტორებთან ერთად, სატრაქტორო მისაბმელი ინვენტარის ნაკლებობის გამო.

5. დაევალოს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, კოლმეურ-
ნობის სისტემის ამიერკავკასიის ცენტრს, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის
რესპუბლიკანური კავშირების ამიერკავკასიის კავშირს და ა/კსფსრ შედგენილო-
ბაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—უზრუნველყონ
ცოცხალი საწვეი ძალისა და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის რაც შეიძლება
უფრო სრული გამოყენება, რისთვისაც ფართოდ გაშალონ სოციალისტური შე-
ჯიბრება კოლექტიურ და ინდივიდუალურ მეურნეობათა შორის.

6. იმ კოლექტიური მეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობის რთული ინ-
ვენტარის რემონტი, რომელთაც არა აქვთ საკუთარი სახელმწიფოები, დაეკის-
როს ტრაქტორცენტრის ამიერკავკასიის განყოფილებას; ხოლო ღარიბი და სა-
შუალო ინდივიდუალური მეურნეობების ინვენტარის რემონტი დაეკისროს სარა-
იონო კოოპერატიულ კავშირებს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ამიერ-
კავკასიის კავშირის საერთო ხელმძღვანელობით.

7. დაევალოს ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, სასოფლო-
სამეურნეო ინვენტარის რემონტის გეგმის შესაბამისად, უზრუნველყოს სარე-
მონტო კამპანიის გაშლა საჭირო მასალებით.

8. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების
სახალხო კომისართა საბჭოებს, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ამიერკავკა-
სიის კავშირს და საკოლმეურნეო სისტემის ამიერკავკასიის ცენტრს—სისტემატიუ-
რად შეამოწმონ ხოლმე სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა, კოოპერატი-
ული და საკოლმეურნეო სისტემების მუშაობა შინა-რესურსების მობილიზაციის
საქმეში, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის რე-
მონტის გეგმების თავის დროზე შესრულება.

IX. საბჭოთა მეურნეობების მშენებლობა.

1. ა/კსფსრ საბჭოთა მეურნეობებში საანეულო ნათესების ფართობები მილ-
წვივებულ იქნეს 82.431 ჰექტარამდე; აქედან:

აზერბაიჯანის სსრ-ში	39.424 ჰექტ.;
სომხეთის სსრ-ში	11.529 ჰექტ.;
საქართველოს სსრ-ში	31.478 ჰექტ.;

2. საბჭოთა მეურნეობების ცალკეული სისტემების მიმართ განსაზღვრულ
იქნეს შემდეგი დავალებანი საანეულო ნათესების სფეროში: „სკოტოვოდი“-
სათვის—6.341 ჰექტ. (წარსული წლების ნათესი ბალახების გარეშე); „ოვცე-
ვოდ“-ისათვის—1.050 ჰექტ.; „სეინოვოდ“-ისათვის—1.740 ჰექტ.; ახალი ხრა-
ლელული კულტურების ტრესტისათვის—10.500 ჰექტ. (აქედან: რამი—3.000 ჰექტ.,
კენდირი—1.000 ჰექტ., კენაფი და საბაგრო მცენარე—3.500 ჰექტ.); „სოიუზ-
სახარ“-ისათვის—1.068 ჰექტ.; „სოიუზტაბაკ“-ისათვის—2.300 ჰექტ. (აქედან
თამბაქო—1.550 ჰექტ.); „ზაკლოდოვოში“-ისათვის—785 ჰექტ. ბოსტანი; სამომ-
ხმარებლო კოოპერაციისათვის (ქალაქების სავარეთუნო საბჭოთა მეურნეო-
ბები)—7.204 ჰექტ. (აქედან ბოსტანი და ბაღა—4.493 ჰექტ.); „ლეკტესსირიო“-
სათვის და სასაპონო საპარფიუმერო და ძვლის დამამუშავებელი მრეწველობის

შენაერთისათვის—649 ჰექტ. ((ეთეროვან-ზეთული); მეთესლეობის ტრესტიისათვის—3.149 ჰექტ. (აქედან საბოსტნე—150 და საკვები—1.800 ჰექტ.); „სოფოზხლოპოკ“-ისათვის—27.750 ჰექტ. (აქედან ბამბა—22.250 ჰექტ. და ბალახეულა—5.500 ჰექტ.) და რესპუბლიკანური საბჭოთა ტრესტიისათვის—10.270 ჰექტ. (აქედან: სომხეთის სსრ-ში—4.280 ჰექტარი და საქართველოს სსრ-ში—3.990 ჰექტ.).

3. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და ა/კსუსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—უზრუნველჰყონ ამ დავალების შესრულება საბჭოთა მეურნეობებისათვის თავის დროზე მიწის ფონდების მიჩენით.

4. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—დაუყოვნებლივ გაშალოს ხილეულ-ბოსტნეულისა და მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობების მშენებლობა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სისტემაში და დააკისროს მათ 1931 წლისთვის შემდეგი ძირითადი საწარმოო დავალებანი: ხილეულ-ბოსტნეულის საბჭოთა მეურნეობებისათვის—ხილეულ ნარგავთა ჩაყრა 3.000 ჰექტარზე და ბოსტნების მოწყობა 2.000 ჰექტარზე; მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობებისათვის—კვერცხმდებელ ფრინველთა საერთო რიცხვის 150.000-დე მიღწევისება.

5. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—უზრუნველჰყოს აფხაზეთის სსრ-ისა და აჭარისტანის სსრ-ის სუბტროპიკული საბჭოთა მეურნეობების გაძლიერებული მშენებლობა.

X. კოლექტივიზაცია.

1. იმ დონის მიხედვით, რასაც ა/კსფსრ-ში უკვე მიაღწია კოლექტივიზაციამ და კოლექტიურ მეურნეობებში შესასვლელად ღარიბ და საშუალო გლეხთა მასების ახალი ნაკადის მისწრაფების საფუძველზე—უზრუნველყოფილ იქნეს ისეთი მდგომარეობა, რომ კოლექტიურმა მეურნეობებმა 1931 წელს ა/კსფსრ-ში მოიცვან საშუალოდ საგლეხო მეურნეობათა 20—25 პროცენტი.

სამაშვე რაიონებში, სადაც წინამდგომარე საგაზაფხულო თესვის კამპანიის პერიოდში უკვე მიღწეული იქნება საწარმოო პროცესების თვალსაჩინო მექანიზაცია, კოლექტიურმა მეურნეობებმა 1931 წელს უნდა მოიცვან არა ნაკლებ ამ რაიონების მეურნეობათა საერთო რიცხვის 50 პროცენტისა.

2. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, საკოლმეურნეო სისტემის ამიერკავკასიის ცენტრს და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—იხმარონ თავის დროზე გადამწყვეტი ღონისძიება კოლმეურნეობებში საგაზაფხულო კამპანიის საწარმოო გეგმების შედგენისათვის, რისთვისაც მოზილიზებულ უნდა იქნეს აგრონომიულ ძალთა მაქსიმალური რაოდენობა.

3. წინადადება მიეცეს საკოლმეურნეო სისტემის ამიერკავკასიის ცენტრს—უზრუნველჰყოს კოლექტიურ მეურნეობათა გამგებების მიერ კოლმეურნეთა და ინდივიდუალურ მეურნეთა საერთო კრებაზე ფართო ანგარიშების ჩატარება და



ამ ანგარიშების გარშემო თვითკრიტიკის გაშლა; თანაც ეს კამპანია დაკავშირებული უნდა იქნეს არსებული კოლექტიური მეურნეობების განმტკიცებისა და საკოლმეურნეო მოძრაობის შემდგომი ზრდის ამოცანებთან.

4. დაევალოს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, საკოლმეურნეო სისტემის ამიერკავკასიის ცენტრს და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—დაამთავრონ მიწათჩვენების და მიწათმოჩენის სამუშაოები არა უგვიანეს ორი კვირისა თესვის დაწყებამდე.

5. დაევალოს საკოლმეურნეო სისტემის ამიერკავკასიის ცენტრს—შეიმუშაოს ერთი დეკადის ვადაზე კონკრეტული ღონისძიებები, რათა შეელახინოდ გაუმჯობესებულ იქნეს კოლექტიურ მეურნეობებში შრომის ორგანიზაცია და ამ საფუძველზე გადიდდეს შრომის ნაყოფიერება, რისთვისაც გამოყენებულ უნდა იქნეს დამკვერლობისა, სოციალისტური შეჯიბრებისა და სხვა მეთოდები.

6. დაევალოს საკოლმეურნეო სისტემის ამიერკავკასიის ცენტრს—დაამთავროს თებერვლის 1-თვის ბრონირებული საფურცეო ფონდების გამოყოფა კოლექტიურ მეურნეობებში.

7. მიენდოს საკოლმეურნეო სისტემის ამიერკავკასიის ცენტრს—შეიმუშაოს კონკრეტულ ღონისძიებათა სისტემა—კოლექტიურ მეურნეობებში ინტენსიური და შრომისტივადი კულტურებისათვის საჭირო სამუშაოთა თავის დროზე შესასრულებლად, რისთვისაც გამოყენებულ უნდა იქნეს სხვა კოლექტიური მეურნეობების თავისუფალი მუშა-ძალა.

XI. კ ა დ რ ე ბ ი .

1. საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიისათვის კადრების მომზადება განსაკუთრებული დამკვერლი სამუშაოა, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საგაზაფხულო კამპანიის წინაშე მდგარი ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის. ამისდამიხედვით, დაევალოს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, საკოლმეურნეო სისტემის ამიერკავკასიის ცენტრს, ტრაქტორცენტრის ამიერკავკასიის განყოფილებას, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ამიერკავკასიის კავშირს და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—დაისახონ თავიანთი ყურადღების ძირითად საგნად საგაზაფხულო კამპანიისათვის სოფლის მეურნეობის ყველა დარგის სფეროში ორგანიზატორების მოსამზადებლად საჭირო მუშაობა.

2. დაევალოს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—საგაზაფხულო თვისის კამპანიის დასაწყისისათვის ვადამდე გამოუშვან უმაღლესი სასწავლებლებიდან 600 კაცი და ტეხნიკუმებიდან 1.300 კაცი, ისეთი ვარაუდით, რომ მათი რაიონებზე და სპეციალობაზე განაწილების კონკრეტული გეგმა შემუშავებულ და წარმოდგენილ იქნეს დასამტკიცებლად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოში არა უგვიანეს 1931 წ. იანვრის 15-სა.

3. დაევალოს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, საკოლმეურნეო სისტემის ამიერკავკასიის ცენტრს, ტრაქტროცენტრის ამიერკავკასიის განყოფ-

ფილებას, ა/კსფსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოს და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—გაატარონ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სხვადასხვა დარგში მასსიური კვალიფიკაციის თვე-თვენახევრიან კურსებზე 25.000 კაცამდე და წარმოუდგინონ ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს, არა უგვიანეს თებერვლის 1-სა, კურსებ-გაეღილ პირთა რაიონებზე და სპეციალობაზე განაწილების გეგმა.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის თან. დრ. აღმ. **ნ. ხოკოლოვსკი.**

1931 წ. იანვრის 6.

№ 319.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს მე-7 №-ში 1931 წ. იანვრის 7-ს.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

23. ა/კსფსრ-ში ცენზიანი მრეწველობისათვის საკონიუნქტურო და- კვირვებათა მოწყობის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. 1931 წ. იანვრის 1-დან მიმდინარე დაკვირვება ა/კსფსრ ცენზიანი მრეწველობისათვის მიენდოს იმ უწყებებს, რომელთა გამგებლობაშია ც სამრე-
წველო საწარმონია.

შენიშვნა 1. იმ უწყებათ, რომელნიც ადგენენ მრეწველობის საკონიუნქტურო ჯუშვლებს და მიმოხილვებს, მიეკუთვნოს: ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო, ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატი, ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი, სარეწაო კოოპერაციის ამიერკავკასიის საბჭო, სამომხმარებლო კოოპერატივების ამიერკავკასიის კავშირი, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ამიერკავკასიის კავშირი და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სათანადო უწყებები და ორგანიზაციები. სხვა დანარჩენი დაწესებულებები და ორგანიზაციები როგორც ცნობებს (სასწრაფო შეტყობინების ბარათები, ანგარიშგება შრომის სფეროში და სხვ.), ისე მიმოხილვებს წარუდგენენ უშუალოდ ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომისიებს.

შენიშვნა 2. ამიერკავკასიის და რესპუბლიკანური უწყებანი აღგენენ საკონიუნქტურო ჯუმლებს და მიმოხილვებს როგორც მათ უშუალო ქვემდებარეობაში მყოფ საწარმოთა შეასხებ, ისე სათანადო საკავშირო, ფედერაციული, რესპუბლიკანური და ადგილობრივი—სარაიონოზე არადაბალი—ორგანოების ქვემდებარე საწარმოთა შესახებ.

შენიშვნა 3. მასალების დამუშავებისა და შეჯუმლების წესის დამოუკიდებლად, უწყებანი მოვალენი არიან უზრუნველჰყონ პირველადი ცნობების ქონა (სასწრაფო შეტყობინების ბარათი, ანგარიშგება შრომის სფეროში და სხვ.) თავიანთ ფედერაციულ და რესპუბლიკანურ ორგანოებში.

2. ამა დადგენილების 1-ლი მუხლის 1-ლ შენიშვნაში ჩამოთვლილი უწყებები და ორგანიზაციები, აგრეთვე ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახელმწიფო საგემო კომისიები აღგენენ, ა/კსფსრ სახელმწიფო საგემო კომისიასთან შეთანხმებული პროგრამის მიხედვით, საკონიუნქტურო ჯუმლებსა და მიმოხილვებს და ურდგენენ ა/კსფსრ სახელმწიფო საგემო კომისიას, ამ კომისიის მიერ დაწესებულ ვადაზე, ხოლო არა უგვიანეს თვითიული თვის 17 რიცხვისა.

3. უკეთუ დაცულ არ იქნა ამა დადგენილების მე-2 მუხლში აღნიშნული ვადები, ა/კსფსრ სახელმწიფო საგემო კომისია მოვალეა თვითიულ ცალკე შემთხვევაში აცნობოს ეს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

4. წინადადება მიეცეს 1-ლ მუხლში ჩამოთვლილ უწყებებს, 5-დღის ვადაზე, შეუთანხმონ ა/კსფსრ სახელმწიფო საგემო კომისიას იმ საწარმოთა ნუსხა, რომელთა შესახებაც შედგენილ იქნება საკონიუნქტურო ჯუმლები, და გასცენ სათანადო განკარგულებანი მათ ქვემდებარე საწარმოთა მიმართ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს

თაემჯდომარე შ. ელიავა.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს

საქმეთა მმართველის თან. დრ. აღმ. ნ. სოკოლოვსკი.

1931 წ. იანვრის 12.

№ 328.

ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

24. 1931 წლისთვის თევზისჭერის გეგმისა და ა/კსფსრ-ში საგაზაფხულო თევზთახვლის ჩატარების ღონისძიებათა შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო აღგენს:

1. ა/კსფსრ ყველა წყალსათავსში თევზისჭერის გეგმა 1931 წლისთვის განისაზღვროს 954.000 ცენტნერთ, რაც ცალკეულ რესპუბლიკებზე და ორგანიზაციებზე განაწილდეს შემდეგი რაოდენობით:



ათას ცენტნერობით

რესპუბლიკები	აზ. თევზ. ტრესტი.	აზ. მეთევზ. კავშ.	სომხ. თევზ. სააკ. საზ.	საქ. თევზ. სბაკ. საზ.	სულ
აზერბაიჯანის სსრ	650,0	230,0	—	—	880,0
სომხეთის სსრ	—	—	10,0	—	10,0
საქართველ. სსრ	—	—	—	60,0	60,0
ა/კსფსრ	650,0	230,0	10,0	60,0	950,0

2. თევზისჭერის წლიური გეგმის შესაბამისად 1931 წლის საგზაფხულო თევზთასვლის საგეგმო დავალება ორიენტირულად განისაზღვროს 783.000 ცენტნერით; აქედან აზერბაიჯანის თევზის ტრესტისათვის—580.000 ცენტნერით, აზერბაიჯანის მეთევზეთა კავშირისათვის—165.000 ცენტნერით, საქართველოს თევზის სააქციო საზოგადოებისათვის—33.000 ცენტნერით და სომხეთის თევზის სააქციო საზოგადოებისათვის—5.000 ცენტნერით; წინადადება მიეცეს თევზის მრეწველობის საკავშირო შენაერთის ამიერკავკასიის სამხარეო კონტორას დაუყოვნებლივ შეუთანხმოს საგზაფხულო თევზთასვლის გეგმა თევზის მრეწველობის საკავშირო შენაერთის გამგეობას და, არა უგვიანეს იანვრის 30-სა, მიაწვდინოს გეგმა ცალკეულ სარეწაომდე, სამებადურო კოლექტიურ მეურნეობამდე, მუშებამდე და მებადურებამდე.

3. წინადადება მიეცეს თევზის მრეწველობის საკავშირო შენაერთის ამიერკავკასიის სამხარეო კონტორას, თევზის მრეწველობის ტრესტებს და აზერბაიჯანის მეთევზეთა კავშირს—წლიური გეგმის საფუძველზე—დაუყოვნებლივ შეუდგენ ცალკეული სარეწაოების მიხედვით თევზისჭერის თვიური გეგმების შედგენას და წარუდგინონ ეს გეგმები დასამტკიცებლად ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატის კოლეგიას არა უგვიანეს 1931 წ. იანვრის 20-სა, ხოლო აზერბაიჯანის თევზის მრეწველობის ტრესტმა—იანვრის 25-თვის.

4. მიენდოს თევზის მრეწველობის საკავშირო შენაერთის ამიერკავკასიის სამხარეო კონტორას, თევზის მრეწველობის ყველა ტრესტს და აზერბაიჯანის მეთევზეთა კავშირს—დაუყოვნებლივ შეუდგენ სამებადურო და საგასაცემო ფანების დამუშავებას 1931 წლის საგზაფხულო თევზთასვლისთვის და, ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მომარაგების სახალხო კომისარიატების დასკვნითურთ, წარუდგინონ დასამტკიცებლად ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს არა უგვიანეს 1931 წ. თებერვლის 10-სა.

5. 1931 წლისთვის ნაპროექტევი საწარმოო პროგრამის შესრულების უზრუნველსაყოფად კაპიტალური სახარჯო თანხების რაოდენობა (სამებადურო კოოპერაციის გარეშე) განისაზღვროს ა/კსფსრ-ში 6.386.000 მანეთით, აქედან აზერბაიჯანის თევზის მრეწველობის ტრესტისთვის—5.850.000 მან., სომხეთის თევზის სააქციო საზოგადოებისათვის—130.000 მან. და საქართველოს თევზის ტრესტისთვის—405.000 მანეთით; ამასთანავე, ცალკეულ დარგებზე კაპიტალური სახარჯო თანხები საერთოდ განაწილდეს შემდეგნაირად ათას მანეთობით:

ღარგი	აზერბ. სსრ	სომხ. სსრ	საქართ. სსრ	ა/კსფსრ
სამრეწველო მშენებლობა	360,0	20,0	83,0	463,0
რეკონსტრუქცია	370,0	15,0	17,0	402,0
კაპიტალური რემონტი	430,0	—	—	430,0
სამელიორაციო სამუშაოები	600,0	—	—	600,0
წყალმავალი ტურქელი	1.112,0	40,0	227,0	1.379,0
ტრანსპორტი	780,0	55,0	—	835,0
სხვა მშენებლობა	2.198,0	—	79,0	2.277,0
სულ	5.850,0	130,0	406,0	6.836,0

6. წყალმავალი ტურქელის გამრავლებისა და ფლოტის მოტორიზაციის სფეროში:

დაეგეგმოს თევზის მრეწველობის საკავშირო შენაერთის ამიერკავკასიის სამხარეო კანტორას, თევზის მრეწველობის რესპუბლიკანურ ტრესტებს და სამუშაო კოოპერაციას დააჩქარონ—ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატის გეგმით გათვალისწინებული მოტორიზირებული სათევზაო ნავტურქელისა და წყალმავალი ტურქელის შენება.

7. სამელიორაციო სამუშაოების სფეროში:

ა) წინადადება მიეცეს აზერბაიჯანის თევზის მრეწველობის ტრესტს დააჩქაროს კიხილ-ალაჩის ყურეს სამელიორაციო სამუშაოები ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატისა და თევზის მრეწველობის საკავშირო შენაერთის გამგეობის მიერ დამტკიცებული სამუშაოების გეგმის შესაბამისად;

ბ) უზრუნველყოფილ იქნეს სარეწავ საირი-სუზე მდებარე არხის საწმენდი სამუშაოების დამთავრება და აგრეთვე ნოხუტლის არხის გაწმენდა და რაბის აღდგენა;

გ) წინადადება მიეცეს ა/კსფსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოს ხელი შეუწყოს სამელიორაციო სამუშაოებს საკურო ექსკავატორისა და სათანადო ტექნიკური მომსახურე პერსონალის გადაგზავნით, აგრეთვე თავისი ტექნიკური ძალებით ხელი შეუწყოს ამ სამუშაოებს კონსულტაციის სფეროში;

დ) წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს მიამაგროს საქართველოს თევზის მრეწველობის სააქციო საზ—ზე ყარაიას რიყე სატბორე მეურნეობის მოსაწყობად.

8. თევზისჭერის მექანიზაციის სფეროში წინადადება მიეცეს თევზის მრეწველობის საკავშირო შენაერთის ამიერკავკასიის კანტორას და თევზის მრეწველობის ტრესტებს:

ა) შეამზადონ საესებით აზერბაიჯანის თევზის მრეწველობის ტრესტის სატრაქტორო პარკი, რისთვისაც იზრუნონ, რომ თავის დროზე მიღებულ იქნეს ნისაზლოვორც 1931 წლის საკონტროლო ციფრებით გათვალისწინებული ახალი 30 ციფრები ტრაქტორი, ისე დაზიანებული ტრაქტორების სათანადო ნაწილები არა უგვიანო 1931 წ. თებერვლის 20-სა;

ბ) წინადადება მიეცეს სასოფლო-სამეურნეო იარაღით და მანქანებით მომმარაგებელ ამიერკავკასიის სააქციო საზოგადოებას, აზერბაიჯანის თევზის მრეწველობის ტრესტის განცხადებისამებრ, უზრუნველჰყოს მისი სატრაქტორო პარკის მომარაგება სათადარიგო ნაწილებით ზემოაღნიშნული ვადისათვის;

გ) წინადადება მიეცეს აზერბაიჯანის თევზის მრეწველობის ტრესტს დაუკონგებლოდ შეუდგეს ქაშაპის (სელდი) რაიონში ვიწრო-ლიანდაგიანი გზის გაყვანის დამთავრებას (1931 წ. საკონტროლო ციფრების შესაბამისად), ისეთი ვარაუდით, რომ ეს სამუშაო დამთავრებულ იქნეს მიმდინარე წლის გაზაფხულის თევზთასვლისთვის;

დ) საქართველოს თევზის მრეწველობის სააქციო საზოგადოების ხაზით— იანვრის 25-თვის სრულიად დამთავრებულ იქნეს ყველა მომქმედი სარეწაოს მიმღები პუნქტების გაწყობა;

ე) წინადადება მიეცეს აზერბაიჯანის თევზის მრეწველობის ტრესტს ქაშაპის სარეწაოებში სასროლ ბადეთა რაოდენობა მიაღწევინოს 88 ერთეულამდე და ქიჰყინა თევზის ჰერის სარეწაოში (ყიხილ-ალაჩი) 10 ბადემდე, ხოლო დასაგები ბადე ყველა სარეწაოში 8 ერთეულამდე;

ვ) სომხეთის თევზის მრეწველობის ხაზით— მიმღები პუნქტები გადიდებულ იქნეს სევანის ტბაზე სამი წერტილით.

მ. თევზთასვლის საშენი მასალით, ზეგომასალით, სურსათით და სატრანსპორტო საშუალებით მომარაგების სფეროში:

ა) წინადადება მიეცეს „ზაკსნაბტორგ“-ს, სსრკ-ის მთავრობის დადგენილების შესაბამისად, ამიერკავკასიის თევზის მრეწველობის ორგანიზაციების მომარაგება საშენი მასალით, სპეცტანისამოსით და სპეცცეფსაცმლით აწარმოოს სხვა მძღვანებელი მშენებელი ორგანიზაციების თანაბრად პირველ რიგში; აგრეთვე ეთხოვოს თევზის მრეწველობის საკავშირო შენაერთს დაუყოვნებლივ გამოჰყოს ა/კსფსრ თევზის მრეწველობის ტრესტებისათვის საშენი მასალის მტკიცე ფონდები;

ბ) რათა თევზის პროდუქტების ნორმალური ტრანსპორტირება უზრუნველყოფილ იქნეს, ეთხოვოს თევზის მრეწველობის საკავშირო შენაერთს, ტრანსპორტის საკავშირო შენაერთის ცენტრალური სამმართველოს მიერ გამოყოფილი 5 ავტომანქანის დამატებად, გამოჰყოს თავისი კონტიგენტიდან საგაზაფხულო თევზთასვლისთვის აზერბაიჯანის თევზის მრეწველობის განკარგულებაში 6 ავტომანქანა (ტონნახევერიანები), საქართველოს თევზის მრეწველობისა და სომხეთის თევზის მრეწველობის განკარგულებაში— ორ-ორი ასეთივე მანქანა, ხოლო სრულიად საკავშირო მეთევზეთა სამრეწველო კავშირმა გამოჰყოს აზერბაიჯანის მეთევზეთა კავშირისათვის ორი მანქანა;

გ) წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს და სამომხმარებლო კოოპერაციების ამიერკავკასიის კავშირს, სსრკ-ის მომარაგების სახალხო კომისარიატის დირექტივებისა და ნორმების შესაბამისად, მოაწყონ მებაღურებისა და თევზის მრეწველობის ორგანიზაციების თავისდროული და დაუკადებელი მომარაგება სამრეწველო და სასურსათო საქონლით, რისთვისაც

დაუყოვნებლივ გამოჰყონ ამ საქონლის სათანადო კონტიგენტები; ამავ დროს მიაწოდონ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მომარაგების სახალხო კომისარიატებს, სამომხმარებლო კოოპერაციის ცენტრებს და ტრესტებს ინსტრუქცია მომარაგების ტენიკისა და მეთოდის შესახებ. სამომხმარებლო კოოპერატივების ამიერკავკასიის კავშირმა ეს მომარაგება უნდა ჩაატაროს უშუალოდ თავისი სისტემის მეშვეობით;

დ) სახალხო კვების საკავშირო შენაერთის ამიერკავკასიის კონტორას—იმაროს ღონისძიება ყველა დიდ სარეწაოში და კოლექტიურ მეურნეობაში საკვები პუნქტების ან სასადილოების მოსაწყობად მუშებისა და მეზადურების მომარაგებისათვის.

10. სატბორე მეურნეობის სფეროში:

წინადადება მიეცეს თევზის მრეწველობის საკავშირო შენაერთის ამიერკავკასიის კონტორას, საქართველოს თევზის მრეწველობას და სომხეთის თევზის მრეწველობას—განახორციელონ 1931 წლისათვის დამტკიცებული გეგმა მშენებლობისა 1.000 ჰექტარის ფართობზე საქართველოს სსრ-ში და 50 ჰექტარის ფართობზე სომხეთის სსრ-ში.

11. საორგანიზაციო სამუშაოების სფეროში:

აღინიშნოს, რომ სამებადურე კოოპერაციამ საკმარისად ვერ შეასრულა საკავშირო და ამიერკავკასიის მთავრობის დირექტივები მეზადურეთა კოოპერირების სფეროში და:

ა) წინადადება მიეცეს აზერბაიჯანის მეთევზეთა კავშირს ჩაატაროს მარტის 15-თვის სათანადო კამპანია და დაამთავროს საორგანიზაციო განმტკიცება და გადიდრონება მეთევზეთა კოლექტიური მეურნეობებისა; ამასთან ერთად მოაწყოს და სათავეში ჩაუდგეს მშრომელი მეზადურე-მოსახლეობის კოლექტიურ მეურნეობებში ჩაბმის კამპანია;

ბ) წინადადება მიეცეს თევზის მრეწველობის ყველა ტრესტს, პროფესიონალურ ორგანიზაციებთან ერთად, ჩაატარონ სასამზადისო მუშაობა საგაზაფხულო თევზთასვლისთვის შრომის სოციალისტური ფორმით ორგანიზაციის ხაზით (სოც. შეჯიბრება, დამკვერლობა, საზოგადოებრივი ბუქსირი, ავრალი და სხვ.), როგორც თვით სარეწაოებში, ისე ზღვაზე და გაავრცელონ ეს აგრეთვე მთლად კოოპერირებულ და მშრომელ მეზადურე-მოსახლეობაზე; სოციალისტური შეჯიბრების სტიმულირებისათვის გამოყოფილ იქნეს სპეციალური ფონდები განსაკუთრებით გამოჩენილი დამკვერელი მუშებისა და მეზადურების წასახლისებლად

გ) წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს, ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატთან და თევზის მრეწველობის საკავშირო შენაერთის ამიერკავკასიის კონტორასთან ერთად, გადასინჯოს მთლად თევზის მრეწველობის ტრესტებისა, თევზის მრეწველობის საკავშირო შენაერთის ამიერკავკასიის კონტორისა და სარეწაოების ხელმძღვანელი და ტენიკური შედგენილობა;

დ) დაევალოს ა/კფსრ შრომის სახალხო კომისარიატს და თევზის მრეწველობის ტრესტებს თავის დროზე უზრუნველყონ თევზთასვლა საჭირო მუშაძალით, რისთვისაც დაუყოვნებლივ იმპარონ ღონისძიება ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობიდან კადრების მომზადებისა და გარდამზადებისათვის;

ამასთან ერთად მიიღონ გადაწყვეტი ღონისძიება საჭირო საინჟინერო-სატექნიკო ძალთა კადრების მოსამზადებლად;

ე) წინადადება მიეცეს თევზის მრეწველობის საკავშირო შენაერთის ამიერკავკასიის კონტორას და თევზის მრეწველობის ტრესტებს—მოაწყონ 1931 წ. სამრეწველო-საფინანსო გეგმის შესრულების ოპერატიული აღნუსხვა ანგარიშგების ფორმით და თევზის მრეწველობის საკავშირო შენაერთის გამგეობისა და ა/კფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატის მიერ დადგენილ ვადებზე. ამასთანავე, აუცილებლად უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ცნობების წარდგენა თევზის ქერის შესახებ ცალკეული სარეწაოების მიხედვით, ხოლო კოოპერაციის ხაზით—სექტორების მიხედვით.

12. წინადადება მიეცეს სსრკ-ის ფოსტა-ტელეგრაფის სახ. კ-ტის რწმუნებულს ა/კფსრ-ში, რადგანაც განსაკუთრებული დამკვრელობითი მნიშვნელობა აქვს თევზის-ქერის 1931 წ. გეგმას, გადასინჯოს საკონტროლო ციფრები აზერბაიჯანის სსრ ხაზით და უზრუნველყოს ტელეფონისა და რადიო-ტელეგრაფის კავშირგაბმულობა როგორც აზერბაიჯანის თევზის მრეწველობის ტრესტის დიდრონ სარეწაოებს შორის, ისე რადიო-კავშირგაბმულობა დიდრონ ნავსურჭელთა შორის. უპირველეს ყოვლისა დადგმულ უნდა იქნეს ბაქოში ცენტრალური რადიო-სადგური და მიმღებ-გადამცემი სადგურები სარა-ტბაზე, ნარიმანის სარეწაოზე, ხუდათის ჯგუფებზე და დროფტერზე. ამ სამუშაოთა დამთავრების ვადა განისაზღვროს—1931 წ. მარტის 1-ლი.

13. რათა ხელმძღვანელობა უფრო ახლო იდგეს საქართველოს სსრ წყლების თევზის მრეწველობაზე წინადადება მიეცეს ა/კფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს—საქართველოს თევზის მრეწველობის სააქციო საზოგადოების კონტორა გადაიყვანოს ქ. ბათუმში.

14. პერსონალური პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ ა/კფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება 1931 წლის საგაზაფხულო თევზთასვლის შესახებ სათანადოდ იქნება განხორციელებული თევზის მრეწველობის ტრესტებისა და სამებადურო კოოპერაციის მიერ, დაეკისროს თევზის მრეწველობის საკავშირო შენაერთის გამგეობის რწმუნებულს ა/კფსრ-ში, ტრესტების მმართველთა და სამებადურე კოოპერაციის თავმჯდომარეებს.

15. მიენდოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს თვალყური ადევნოს ამა დადგენილების აღსრულებას და მისი რეალიზაციის შესახებ 1931 წ. აპრილის 1-თვის მოახსენოს ა/კფსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

16. წინადადება მიეცეს აზერბაიჯანის სსრ სახალხო კომისართა საბჭოს—1931 წ. გაზაფხულზე გეგმის შესრულების მიზნით—დაავალოს აზერბაიჯანის სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს დაუყოვნებლივ გამოიყოს ადგილობრივი რესურსებიდან საჭირო საშენი მასალა, უმთავრესად ხეტყე და ცემენტი.

17. წინადადება მიეცეს ა/კფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—გაუწიონ თევზის მრეწველობის ყველა ორ-

განიზაციას და სამებადურე ორგანიზაციას მაქსიმალური დახმარება თევზთა-
სვლის დამტკიცებული გეგმის რეალიზაციის საქმეში.

18. ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატის მიერ ა/კსფსრ სახალხო
კომისართა საბჭოში წარმოდგენილი ა/კსფსრ 1931 წლის საგაზაფხულო თევზ-
თასვლის გეგმა დამტკიცებულ იქნეს.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს

თავმჯდომარე შ. ელიავა.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს

საქმეთა მმართველის თან. დრ. აღმ. ა. ბანაჯიჩი.

1931 წ. იანვრის 12.

№ 329.

ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

25. სოფლად სამეურნეო და კულტურული მშენებლობისათვის ერთდროული გამოსაღების დაწესების შესახებ.

1931 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმა ჰბადებს უდიდეს ამოცანებს სოფ-
ლის მეურნეობის წარმატების სფეროში საბჭოთა მეურნეობებისა, კოლექტიური
მეურნეობებისა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მშენებლობის საფუძ-
ველზე. საგლებო მეურნეობის წარმატებისა და სოფლის სოციალისტურ ნია-
დაგზე გარდაქმნისათვის ფართოდ გაშლილ სამუშაოთა პროგრამისთან ერთად
1930 წელს დაწყებულმა საყოველთაო სწავლებამ 1931 წელს უნდა მოიცვას
სოფლად 8—11 წლის ასაკის ბავშვები დაწყებითი სკოლის მეშვეობით. სოფლის
მშრომელი მასების სამეურნეო და საკულტურო წარმატების ამოცანების გადა-
წყვეტის დროს უდიდესად იზრდება მნიშვნელობა რაიონებისა, რომელთა უფ-
ლება-მოვალეობანიც თვალსაჩინოდ არის გაფართოებული ოლქების გაუქმებას-
თან დაკავშირებით. იღებს-რა მხედველობაში, რომ 1930 და 1931 წლებში
სოფლის შემოსავალი თვალსაჩინოდ გაიზარდა და რომ აუცილებლად საჭიროა
სარაიონო და სასოფლო ბიუჯეტების განმტკიცება სოფლის მეურნეობრივად და
კულტურულად წარმატებისათვის, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო, სსრკ-ის
ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს
1931 წ. იანვრის 9-ის დადგენილების საფუძველზე, ადგენს:

1. ჩატარებულ იქნეს 1931 წელს სოფლად ერთდროული გამოსაღები, რაც
მთლად შედის სარაიონო და სასოფლო ბიუჯეტებში და იხარჯება მარტოდენ
სოფლის სამეურნეო და საკულტურო მშენებლობის საჭიროებათათვის.

2. ერთდროული გამოსაღები დაედებათ ინდივიდუალურ მეურნეობათ და
იმ მოქალაქეთ, რომელნიც ამა თუ იმ სოფელში მუდმივად ცხოვრობენ, თუნ-
დაც ისინი სოფლის მეურნეობას არ მისდევდნენ; გადასახადი დაედებათ აგრეთვე

კოლექტიური მეურნეობების იმ წევრთ, რომელთაც აქვთ არაგანსაზოგადოებრივი შემოსავალი.

3. კოლექტიური მეურნეობანი და აგრეთვე კოლექტიურ მეურნეობათა ის წევრნი, რომელთაც არა აქვთ არაგანსაზოგადოებრივი შემოსავალი, ერთდროული გადასახადით არ დაიბეგრებიან.

4. იმ ინდივიდუალურ საგლეხო მეურნეობათათვის, რომელნიც იბეგრებიან ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით, ა/კსუსრ-ში დაწესებულია ერთდროული გამოსაღების შემდეგი საშუალო განაკვეთები:

ა) იმ მეურნეობისათვის, რომელიც 1930 წ. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგრილი იყო ინდივიდუალური წესით (კულაკური)—100%—ი 1930 წ. შეწერილი ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადისა;

ბ) საშუალო მეურნეობისათვის—65%—ი 1930 წ. შეწერილი ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადისა, ხოლო არა ნაკლებ 6 მანეთისა მეურნეობაზე.

ამ საშუალო განაკვეთების მიხედვით ა/კსუსრ შედგენილობაში შემაჯავლი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოები დააწესებენ განაკვეთებს რაიონებისათვის.

რაიონებისათვის განაკვეთების დაწესების დროს საჭიროა მხედველობაში მიღებულ იქნეს ამა თუ იმ რაიონის გლეხობის ეკონომიური ძალოვნება, შემოსავლის საერთო რაოდენობა, სოფლის მეურნეობის პროდუქტების თავისუფალ ბაზარზე გაყიდვა, არასამიწათომოქმედო სამუშაო საშოვრის რაოდენობა (რაიონის სიშორე ქალაქსა და მრეწველობის ცენტრზე, რაიონის სასაქონლო პროდუქციის განვითარება, გვემიან დამზადებათა რაოდენობა, ახალ შენებათა წარმოება და სხვ.).

შენიშვნა. ცალკეულ შემთხვევაში სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს უფლება აქვთ დააწესონ სხვადასხვა განაკვეთი ცალკეული სოფლებისათვის, ხოლო არ კი დაარღვიონ ის საშუალო განაკვეთი, რაც დაწესებულია მთლიანად რაიონისათვის.

5. ის მეურნეობა, რომელიც 1930 წ. განთავისუფლებული იყო ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან მკირეძალოვნების გამო, გამოსაღებს გადაიხდის 5 მან. რაოდენობით. სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს ან, მისი მინდობილობით, სასოფლო საბჭოს შეუძლიან განთავისუფლოს ასეთი კატეგორიის ესა თუ ის მეურნეობა გამოსაღების გადახდისაგან მთლად ან ნაწილობრივ.

6. არაშრომითი მეურნეობა, რომელსაც სასოფლო-სამეურნეო შემოსავალი არა აქვს, გამოსაღებს გადაიხდის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის რაოდენობით, რაც მისთვის გამოანგარიშებულია თვითდაბეგრის რაოდენობის განსაზღვრისათვის.

7. ის შინამრეწველი და ხელოსანი, რომელსაც სოფლის მეურნეობა არ აქვს, გამოსაღებს გადაიხდის შემდეგი რაოდენობით:

ა) სარეწავი გადასახადით დაუბეგრელი, აგრეთვე კოოპერირებული შინამრეწველი და ხელოსანი—6 მან. მეურნეობაზე;

ბ) სარეწავი გადასახადით დაბეგრელი არაკოოპერირებული შინამრეწველი და ხელოსანი—შეწერილი სარეწავი გადასახადის რაოდენობით.

8. კოლექტიური მეურნეობის წევრი, რომელსაც 1930 წელს ჰქონდა არა-განსაზოვადოებული შემოსავალი, გამოსაღებს გადაიხდის 4 მან. რაოდენობით მეურნეობაზე; სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს ან, მისი მინდობილობით, სასოფლო საბჭოს შეუძლიან გაანთავისუფლოს ესა თუ ის მეურნეობა გამოსაღების გადახდისაგან მთლად ან ნაწილობრივ.

9. სასოფლო მეურნეობის არმქონე მუშა და მოსამსახურე, რომელიც სამუშაო ხელფასს თვეში 30 მანეთზე მეტს არ იღებს, განთავისუფლდება გამოსაღებისაგან; ის, ვინც 30 მანეთზე მეტს იღებს, ხოლო არა უმეტეს 75 მანეთისა თვითურად, გადაიხდის 5 მან.; ვინც 75 მან. მეტს იღებს—გადაიხდის 10 მან.

10. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს უფლება აქვთ სრულიად განთავისუფლონ გამოსაღებისაგან ცალკეული რაიონისა თუ სოფლის მოსახლეობა სტიქიური უბედურების გამო ან სხვა ობიექტიური მიზეზით, რამაც დააქვეითა რაიონისა თუ სოფლის გადამხდელობის შესაძლებლობა.

შენიშვნა. ამა თუ იმ რაიონის ან სოფლის გამოსაღებისაგან განთავისუფლებამ არ უნდა შეამციროს გამოსაღების საერთო თანხა, რაც გამოიანგარიშებულია სათანადო რესპუბლიკისათვის საშუალო განაკვეთის მიხედვით.

11. თვითეული მეურნეობისათვის შესაწერ გამოსაღებს გამოიანგარიშებს სასოფლო საბჭო.

12. გამოსაღები მთლიანად შევა სარაიონო და სასოფლო ბიუჯეტებში. გამოსაღების განაწილებას სარაიონო და სასოფლო ბიუჯეტებს შორის დაადგენს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო.

13. გამოსაღების გადახდისთვის ა/კსფსრ-ში მყარდება შემდეგი ზღვრული ვადები: კულაკური მეურნეობა გადაიხდის სრულად 1931 წ. თებერვლის 1-თვის; ხოლო ყველა სხვა კატეგორიის მეურნეობა 1931 წ. მარტის 1-თვის.

შენიშვნა. ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს უფლება აქვთ დააწესონ გამოსაღების გადახდის სხვა ვადები ცალკეული რაიონებისათვის, ხოლო ისე კი, რომ რესპუბლიკისათვის გამოანგარიშებული გამოსაღების საერთო თანხა შეგროვილ იქნეს სრულად ამა მუხლით დადგენილ ზღვრულ ვადაზე.

14. იმ გადახდელთ, ვინც ერთდროულ გამოსაღებს დაწესებულ ვადაზე არ შეიტანს, გამოსაღები გადახდებთ თვითდაბეგვრის ნარჩენის გადახდევინებისათვის დადგენილი წესისამებრ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე შ. ელიავა.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის თან. დრ. აღმ. ნ. სოკოლოვსკი.

1921 წ. იანვრის 13.

№ 321.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს მე-15 №-ში 1931 წ. იანვრის 15-ს.